745/...
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 7 (1342)

3-9 მარტი, 1993 წ.

## ალბათ წაეთრევიან ჩვენი თებერვლიდან

სამოცდამეთორმეტე წელი შესრულდა იმ დღიდან რაც ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესია განახორციელა, რასაც მოჰყვა მსხვერპლი და სისხლისღვრა, გასაბჭოება „ნეპი" და „ჩერვონეცი", „კოლექტივიზაცია" „ომი" თუ „მომწიფებული სოციალიზმი". დიახ გადამწიფდა და დალპა ისტორიის კიდევ ერთი უდღეური შვილი, რომელმაც ჩვენს ქვეყანას უამრავი თავსატეხი და, ჩვენი ფილოსოფოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოვლად გამოუსადეგარი გამოცდილება დაგვიტოვა თეთრ ცხენზე მჯდომი ნაბიჯით ნელით შემოდიოდა სიკვდილი ცელით. როდესაც კოლაუ ნადირაძის ლექსი „25 თებერვალი" „პოეტის ათას სტრიქონში" დაიბეჭდა, მთელი თბილისი გამოცოცხლდა. ეს დიდი მოვლენა იყო და ისეთი სასიამოვნო, როგორც არცერთი 25 თებერვალი. თუმცა შემთხვევით ჩემი თვალით ვნახე წიგნების ერთ-ერთ საწყობში როგორ ხევდნენ სათითაოდ იმ ფურცელს, სადაც ამ ლექსის ფაქსიმილე იყო დაბეჭდილი და მის ნაცვლად ულექსო სატიტულო ფურცელს აკრავდნენ. მახსენდება რევაზ ინანიშვილის ერთი პატარა ნოველა, რომელიც საბედნიეროდ არ ამოუხევიათ მისი კრებულიდან, სადაც გულის სიღრმიდან წამოსულ სიტყვებს ველარაფერი აკავებს და მთელი ხმით უძახის წითელარმიელებს— წაეთრიეთ ჩემი თებერვლიდანო. დიახ, თითქმის სამოცდაათი წელი ზოგნი ძალდატანებით, ზოგნიც ნებითა თუ ხალისით ვთელავთ ჩვენს ისტორიასა და სახელმწიფოებრიობას, სამოცდაათი წლის მანძილზე „ვზეიმობდით გაზაფხულის ამ პირველ დღესასწაულს" მაგრამ ამ თავსმოხვეული წითელი დროშებისა და მანდატების ფრიალის გარდა დიდი გატაცებით ვქოლავდით საკუთარ თავმოყვარეობას, ზნეობას, რის გამოც იოტის ოდენა წყენაც არ გამოუთქვამთ ბოლშევიკ მორალისტებს. აი, ამიტომაა რომ სამოცდათორმეტი წლის შემდეგ ჩვენს სულებს ჩვენივე ტალახიანი ნაფეხურები ამჩნევია. ამიტომაა რომ ყველაფერი ჩვენი ნაშენები ასე სწრაფად იქცა ნანგრევებად. უბედურება ისაა, რომ ამ ნანგრევებში ვრჩებით, თორემ ბოლოსდაბოლოს ალბათ მართლაც „წაეთრევიან" ჩვენივე თანამემამულის ცხენის ფლოქვებს ადევნებული „წითელი არმიელები" ჩვენი თებერვლიდან.

ვახტანგ კომახიძე

## ამის მეტს აღარ გიტირებ...

### (ღია წერილი ბატონ თეიმურაზ ქორიძეს)

ნოდარ გრიგალაშვილი

**ბ**ატონო თეიმურაზ, გაზეთ „დრონში" (№ 9 1993 წ.) გამოქვეყნებულ თქვენს წერილში, ჩემი მისამართით გამეტებულ სხვა „სასიამოვნო" ფრაზებთან ერთად, არის ერთი ასეთი ქილიკნარევი წინადადებაც: ნოდარ გრიგალაშვილი მხარზე ხელს ძმაბიჭურად მითათუნებს და ატირებული პატარა ბიჭივით მამშვიდებსო.

თქვენდა გასაკვირად, უნდა გითხრათ, რომ ეს შედარება ერთობ მომეწონა...

წერილში — „შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე მისგან ქმნილი" (საქართველო" №47 1992წ.) მე მართლაც „გამოვიტირე" თქვენი აზრი, რომლითაც „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიის აღდგენის საჭიროებას ქადაგებთ.

ამასთან, პიროვნულად ურთიერთკეთილგანწყობის მოიმედედ დავრჩი, რაც მართლაც გულუბრყვილო პატარა ბიჭივით დამემართა, რადგან უნდა მცოდნოდა, რომ ახლა ის დრო აღარ არის, როცა ჩვენი დიდი წინაპრები, მიუღებელი აზრების გამო, ერთმანეთს საკმაოდ მკვახედ ელაპარაკებოდნენ პრესაში ამტყდარი პოლემიკის ჟამს, პიროვნულ ურთიერთობებში კი კეთილგანწყობას ინარჩუნებდნენ.

როგორც „საქართველოში" შემოსული მასალებისა და თქვენივე ამჟამინდელი წერილიდან შევიტყვე, ჩემს გარდა თქვენი წინა სტატიის („ომი უნდა დავამარცხოთ") დასკვნები არ მოსწონებია ათასობით ქართველს.

ათას კაცზე მეტი ხელმოწერით საყვოელთაო აღშფოთება გამოუხატავს თვით სამაჩაბლოელ ქართული ეროვნების მოსახლეობასაც.

იმ თქვენი ნააზრევით აღფრთოვანებულან მხოლოდ ოსები და გახარებულ ბანდიტებსა და ექსტრემისტებს დიდი სიამოვნებით გადუბეჭდავთ თავიანთ ანტიქართულ გაზეთში.

როცა რაღაცა შენს სისხლსა და ხორცს არ მოსწონს და, ამ დროს, მისით აღფრთოვანებულია შენი სისხლ-ხორცის მტერი, ამან უნდა დააფიქროს კაცი...

არადა, თქვენ მაინც დაჟინებით იმეორებთ — „სამხრეთ ოსეთის" ავტონომია აღვადგინოთო.

ეს აზრი, თქვენივე შეუდარებელი შედარებისა არ იყოს, — ატირებული პატარა ბიჭივით ერთხელ უკვე „გამოვიტირე", მეორედაც რომ არ დავიმსახურო თქვენგან ქილიკი, იძულებული ვარ, შევწყვიტო „ტირილი" და შეგპირდეთ

„ამის მეტს აღარ გიტირებ
შენ არ ხარ სატირალია..."

## საქართველოს სახალხო ფრონტის მიერ წარდგენილი საქართველოს რესპუბლიკის კანონი მოქალაქეობის შესახებ

### (პროექტი)

თავი I

ზოგადი დებულებანი მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ ჩაითვლება: ა)საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრები ყოველი სრულწლოვანი პირი,

რომელიც არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნების საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილისათვის მუდმივად ცხოვრობდა საქართველოს რესპუბლიკაში აპრილისთვის და აქვს მუდმივი სამუშაო ან არსებობის ლეგალური წყარო საქართველოს რესპუბლიკაში, თუ ამ კანონის ძალაში შესვლის დღიდან 3 თვის განმავლობაში გამოთქვამს საქართელოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღების სურვილს და რეგისტრირებულ იქნება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ.

ბ) საქართველოს რესპუბლიკაში ან მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ოველი ქართველი, თუ 3 თვის ვადაში ამ კანონის ძალაში შესვლის დღიდან გამოთქვამს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღების სურვილს და რეგისტრირებულ იქნება საქართველოს რესპუბლიკისმოქალაქედ:

გ) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე მამაკაცის ქორწინებაში დაბადებული არასრულწლოვანი შვილი: აგრეთვე საქ. რესპ. მოქალაქე მამაკაცის ქორწინების გარეშე შობილი შვილი, რომელიც მამამ აღიარა;

დ) საქათველოს რესპუბლიკის მოქალაქე ქალის ქორწინების გარეშე შობილი არასრულწლოვანი შვილი

ე) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ქალის არასრულწლოვანი შვილი, თუ მან დაბადებით ვერ შეიძინა იმ სახელმწიფოს მოქალაქეობა, რომლის მოქალაქეც არის მამა;

ვ) საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირების არასრულწლოვანი შვილი, რომელიც დაიბადა საქართველოს რესპუბლიკაში;

ზ) ბავშვი, რომლის მშობლები უცნობია, თუ იგი დაიბადა ან აღმოჩენილ იქნა საქართველოს რესპუბლიკაში;

თ) პირი, რომელიც ამ კანონის საფუძველზე შეიძენს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობას.

ამ მუხლის „ა" და „ბ" პუნქტებით გათვალისწინებული ვადის მიმდინარეობა შეწყდება საპატიო მიზეზის არსებობისას და ხელახლა დაიწყება იმ გარემოების გაუქმების დღიდან, რომელიც საფუძვლად დაედო ვადის შეწყვეტას.

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკაში დადგენილია საქართველოს რესპუბლიკის ერთიანი მოქალაქეობა, რომელსაც აწესრიგებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა.

მუხლი 3. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ამავე დროს არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც ამავე დროს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა, სრულწლოვანების მიღწევის დღიდან ან იმ დღიდან, რა დღიდანაც

გაგრძელება მე-3 გვ.

## ვისაც ყური აქვს სმენად, ისმინეთ!...

1783 წ. ხელშეკრულებას საქართველოსათვის სარგებლობა არა მოუტანია რა, ზიანი-კი აუარებელი. პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ საშინლად გაუარესდა. ხმა ამ ხელშეკრულებას და რუსეთის „დინ-თასლიბისა თანხმობა" (იხ. ხერხეულიძე ჭიჭ. 274, ჩუბ. 498. Бутковъ. материалы II, 132, Бурнешевъ картина 15ъ16).

არაფრად მოეწონათ საქართველოს რუსეთთან დაკავშირება ოსმალ... ნული განჯის გამგე გამოაძე... (იქვე). ყაზახისა, შამშადილი... შამქორის ეელებიც, რომე... საქართველოს 6000-მდე საუკე... ცხენოსანი მებრძოლი ემატებოდა ხოლმე, ამავე პოლიტიკურ მიზეზი... გამო შუშის ხანს მიემხრნენ... მტრობა დაიწყეს (Бурнаш... картина 16).

დაღესტნელების შემოსევა ... უკუაქცია ერეკლე მეფემ სექტ. 1...

## 1783 წ. ხელშეკრულების შედეგი

იჳანე ჯავახიშვილი

სახელმწიფოს მფარველობას დიდი ჰქონდა, საქმით კი ძალიან მცირედი იყო ის დახმარება, რომელიც რუსეთის მხრით საქართველოს აღმოეჩინა. ხელშეკრულების თანახმად საქართველოში 2 ბატალიონი რუსი ჯარი მოვიდა. სამაგიეროდ შეექმნათ „შიშნეულობა მხედრობისა გამო რუსეთისა" ადერბეჯანის ხანებს, რომელთაც წინათ, როგორც აღნიშნული იყო, მეფე ერეკლესთან კარგი განწყობილება ჰქონდათ. მათ სალი ალღოთი იგრძნეს, რომ საქმე მარტო საქართველოს მფარველობით არ გათავდებოდა და ამას აუცილებლად მოჰყვებოდა მათი „დაპყრობა ძალითა როსიის მხედრობისათა". ამ მოსალოდნელ განსაცდელის წინაშე ადერბეჯანის ხანებმა ერთიერთმანეთის მტრობა დაივიწყეს და შეექმნათ ურთიერთმანეთისადმი დაფარვით ლებს და ახალციხის ფაშას სულეიმანსაც. წინათ მასაც ერეკლე მეფესთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა, 1783 წ. ხელშეკრულებამ ისიც დააფრთხო და საქართველოს მეფის მტრად აქცია. (იხ. ხერხეულიძე, ჭიჭ. 274, ჩუბ. 498). ოსმალეთმა თავის ჩვეულებრივს ხერხს მიჰმართა და ფულით დაღესტანიც აამხედრა საქართველოს წინააღმდეგ (Бурнашевъ картина 16). "სულეიმან ფაშამ მოუწოდა დეღესტნის ომარხანს, ხუნძახის ბატონს", და ისიც 30000 ჯარით კახეთს შემოესია (იხ. ხერხეულიძე იქვე).

თვით ერეკლე მეფის ურთგულესი ყმად-ნაფიცი და მეგობარი შუშის ხანიც-კი რუსების შიშით საქართველოს მეფეს გადაუდგა და გადაუმტერა. „მის ჩაგონებით, განჯელებმა ერეკლე მეფის მიერ დანიშ- წ. ქართული და რუსული მხედრობითურთ განჯის წინააღმდეგ გაილაშქრა. სრული გამარჯვება იყო მოსალოდნელი, რომელსაც ერეკლე მეფის წინანდელი სახელი უნდა აღედგინა. მაგრამ სრულებით მოულოდნელად რუსის ჯარის უფროსს მინისტრ-რეზიდენტს ბურნაშევს პოტიომკინისაგან საქართველოთგან დაბრუნების შესახებ ბრძანება გამოუვიდა. მან განუცხადა მეფეს, რომ „დღესვე უნდა გავბრუნდეო" და რამდენი არ სთხოვა ერეკლემ, რომ ლაშქრობის დამთავრებამდის მაინც მოეცადა, არ დარჩა: საჩქაროდ აიყარა და გამობრუნდა ტფილისისაკენ, ხოლო იქითგან რუსეთში გაემგზავრა მთელი ჯარით (იხ. ხერხეულიძე. ჭიჭ. 275—276, ჩუბ. 499. Бутковъ.

გაგრძელება მე-2 გვ.

**ვისაც ყური აქვს სმენად, ისმინეთ!...**

# 1783 წ. ხელშეკრულების შედეგი

ივანე ჯავახიშვილი

(დასასრული)

материалы, II, 194—195).

1783 წ-ის ხელშეკრულების წყალობით საქართველო გაძლიერების და გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფის მაგიერ სამის მხრით მტრებით შემორტყმული გახდა და განუწყვეტლივ საომარ განწყობილებაში ჩავარდა იმ თავის მეზობლებთანაც, რომელნიც წინათ მისი ერთგული მოკავშირენი იყვნენ. თვით ერეკლე მეფეც და მმართველი წრეები ხედავდნენ, რომ ამ პოლიტიკურ ნაბიჯის გამოისობით საქართველო ისეთს საშინელს განსაცდელში ჩავარდა, რომლის მსგავსი შაჰაბაზის შემდგომ არ ყოფილა (Бутков. материалы II, 188).

ოსმალეთმა ახალციხის ფაშის პირით ერეკლე მეფეს შემოუთვალა, რომ ოღონდ ის ჩამოშორებოდა და რუსის ჯარი საქართველოთგან გაესტუმრებინა, და არამც თუ წინანდელი კეთილმეზობლური დამოკიდებულება საქართველოსთან აღდგენილი იქმნებოდა, არამედ გაცილებით უფრო მეტს სარგებლობასაც ჰპირდებოდა. ერეკლე მეფემ უარი შეუთვალა ამის გამო 1786 წ. თურქები ფოთისა და ბათუმის გამაგრებას შეუდგნენ. 12000 დაღესტნელიც საქართველოს წინააღმდეგ იყო მათ მიერ ნაქირავები.

ერეკლე მეფე რწმუნდებოდა, რომ რუსეთის დახმარება და მფარველობა იმდენად მცირედი (სულ 1800 ჯარის კაცი) იყო, რომ ის ვერაფერს უშველიდა. ამიტომ რომ ქვეყანა მოსალოდნელ შემოსევისაგან და ოსმალეთის გულისწყრომისაგან ეხსნა, იძულებული იყო ახალციხის ფაშისათვის დაზავების პირობად აღეთქვა, რომ ის მეტს რუსის ჯარს საქართველოში აღარ შემოიყვანდა. მაგრამ ოსმალეთმა ეს საკმარისად არ დაინახა და ამ დაპირების ასრულების საწინდრად 12 საუკეთესო თავადთა საგვარეულოთგან ორი წარმომადგენელი ამანათად მოითხოვა. ერეკლე მეფე იმდენად უმწეო მდგომარეობაში იყო, რომ იძულებული გახდა 1787 წ. ივნისში ეს მძიმე და დამამცირებელი მოთხოვნილება აესრულებინა (Бутковь. материалы II, 191—193).

რუსეთმა თავისი ჯარი საქართველოთგან იმიტომ გაიყვანა, რომ იძულებული იყო ოსმალეთთან ომში ...ლიყო. ერთ-ერთ მიზეზად, რო...ც ოსმალეთი რუსეთის მტრად ...ა და ომი გამოიწვია, რუსეთის საქართველოში მფარველობის სახით შემოსვლა იყო. 15 ივლისს 1787 წელს ოსმალეთმა რუსეთის დესპანს გადაჭრით მოსთხოვა, რომ მას საქართველოსთვის თავი დაენებებინა და ამ ქვეყნისა და სახელმწიფოს საქმეებში აღარ გარეულიყო. მალე ოსმალეთმა რუსეთის წინააღმდეგ მტრული მოქმედება დაიწყო კიდეც, ხოლო 7 ენკ. 1787 წ. რუსეთმაც ოსმალეთს ომი გამოუცხადა (Бутковь. материалы II, 198).

ასეთ პირობებში იმ მცირედ ჯარის გაყვანის მაგიერ, რუსეთისგან, ვითარცა მფარველობის მხრივ სრულებით ბუნებრივი იყო საქართველოსთვის უფრო მეტი ჯარის მოშველება იმიტომ, რომ რაკი უთანხმოების ერთ-ერთ მიზეზად საქართველო ითვლებოდა, ოსმალეთის მხრივ ამ ქვეყნის წინააღმდეგ მტრული მოქმედება თავისთავად მოსალოდნელი იყო. მაგრამ რუსეთის სამხედრო შტაბმა სამოქმედო გეგმა ისე შეადგინა, რომ ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა ამ მხრითგან განზრახული არ იყო. ამიტომ რუსეთის მთავრობამ საქართველო მიატოვა და გადასწყვიტა, რომ საქართველოსთვის უკეთესი იქნებოდა თავის ძალით და წინანდელ მშვიდობიანი კავშირის აღდგენით თავისი თავი ამ ომის დროს ოსმალეთისაგან უზრუნველყო (Бутковь. материалы II, 196). ასე უცნაურად, სხვა არა იყოს რა, მსჯელობდა საქართველოს „მფარველი" რუსეთის სახელმწიფოს მთავრობა, რომლის თაოსნობითაც, როგორც ვიცით, დადებული იყო 1783 წ-ის ხელშეკრულება ეგოდენ მშვენიერ საზეიმო აღთქმებით აღსავსე.

რუსეთის მთავარსარდალმა და ფელდმარშალმა თავად პატიომკინმა კიდევ იმდენი ურცხვობა გამოიჩინა, რომ 1788 წელს ასე უმწეოდ მიტოვებულს საქარველოს მეფესა ერეკლე II-ეს აქეზებდა, რომ მას სოლომონ მეფესთან შეთანხმებით ოსმალთა წინააღმდეგ ემოქმედა. მაგრამ მეფის გული მწუხარებისა და წყრომისა ცეცხლით იყო მოცული და მწარე გამოცდილებამ მას უკვე საკმაოდ თვალი აუხილა, რომ ასეთ უცნაურ რჩევისათვის ყური ეთხოვებინა (Бутковь, материалы II, 197).

## რუსეთ-საქართველოს ურთიერთი დამოკიდებულების საფუძველი და მისწრაფებათა შეურიგებლობა

დიდად უნებლიეთ საკითხი იბადება, თუ რა მიზეზი იყო, რომ დიდი რუსეთის მთავრობა ასე ექცეოდა პატარა საქართველოს ან როგორ ახერხებდა რუსეთი საქართველოს ისე მოჯადოებას, რომ იგი რამდენიმე მწარე გამოცდილების შემდგომაც მაინც „ქრისტესმოყვარე" რუსეთის მფარველობის გულწრფელი მოიმედე იყო?

პირველი საკითხის გადწყვეტა ყველა ზემომოთხრობილის შემდგომ ძნელი არ არის.

რუსეთის მაშინდელი მთავრობის ბრძანებებითგან და მიწერ-მოწერითგან, აგრეთვე სხვა ყველა იმდროინდელი საბუთებითგან და თვით მოქმედებითგანაც, სრულის სიცხადით ირკვევა, რომ რუსეთის მთელი პოლიტიკა და მოქმედება საქართველოს მიმართ ნამდვილად რუსულ პოლიტიკურ ინტერესებით იყო ნაკარნახევი და მხოლოდ ნიღაბჩამოფარებული, მაგრამ ტლანქი ეროვნული ეგოიზმის განხორციელება იყო.

რუსეთის მთავრობის სიღრმეს არ მოჰხვედრია ქართველი ერის მისწრაფება, მისი დაწინაურებული, განათლებული ყოფა-ცხოვრების დაუშრეტელი წყურვილი და მუდმივი ლტოლვა თავისუფლებისადმი. არა, რუსეთი საქართველოს ისე უყურებდა, როგორც კარგს იარაღს, რომელიც საჭიროებისამებრ შეიძლებოდა მშვენივრად გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ. ეს აზრი თვით რუსეთის მთავრობას აქვს ცინიკური. გულახდილობით გამოთქმული გრაფი ნ. პანინის პირით ერთს საიდუმლო მიწერილობაში, რომელიც მან სახელმძღვანელოდ საქართველოში მყოფს რუსეთის წარმომადგენელს გენერალ ტოტლებენს გამოუგზავნა: უნდა ეცადოთ საქმე საქართველოში ისე მოაწყოთ, რომ ყველაფერი ჩვენი „ხელმძღვანელობით ხდებოდეს", თვით ქართველებს კი ისე ეგონოთ, ვითომც ისინი თავიანთ მთავრობის განკარგულებას ასრულებდნენ, თვით მთავრობაც დარწმუნებული იყოს, თითქოს ყველაფერი მისი სურვილისა და ნების თანახმად ხდებოდეს, ერთი სიტყვით, ყოველი ჩვენი წადილი განხორციელდეს, მაგრამ იმ ნაირად კი, რომ „სული აქაური (ე.ი. რუსული) იყოს, სხეული კი ქართული"-ო. მაშასადამე რუსეთის მთავრობას უნდოდა რომ ქართველები უსულო ირალივით გამოეყენებინა თავის პოლიტიკური მიზნებისა და ზრახვების მისაღწევად.

მაშინდელი ქართველობა კარგა ხანს ამ გარემოებას ვერ ამჩნევდა და გულწრფელად დარწმუნებული იყო, რომ რუსთა ხელმწიფეს და მთავრობას საქართველოსთვის მართლაც გული შესტკიოდა და მის მწუხარება თავის მწუხარებად მიაჩნდა. ამგვარი განუსაზღვრელი და დაუშრეტელი რუსებისადმი ნდობა იმაზე იყო დამყარებული, რომ საქართველოს იმდროინდელი მტრები სპარსეთ-ოსმალეთი მაჰმადიანები იყვნენ, რუსეთი კი, ვითარცა ქართველთა ერთმორწმუნე სახელმწიფო, თავიანთ ბუნებრივ მოკავშირედ მიაჩნდათ.

ქართველებს შორითგან გაგონილი ჰქონდათ რუსთა მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობა და ეჭვი არ ებადებოდათ, რომ რუსეთი ქართველთა სულის კვეთებას ადვილად გაიგებდა და მათს თავგანწირულს ბრძოლაში სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ წრფელის გულით ძლიერს დახმარებას გაუწევდა.

რუსეთის მთავრობას და პოლიტიკოსებს არ გამოჰპარვიათ ქართველთა ამგვარი პოლიტიკური გულუბრყვილობა. მთელი მათი პოლიტიკა საქართველოს მიმართ, როდესაც კი რუსეთის სამხედრო თვალსაზრისით ქართველთა ძალის გამოყენება ოსმალეთის, ან სპარსეთის წინააღმდეგ საჭიროდ მიაჩნდათ, სწორედ ქართველთა ამ სუსტ გრძნობაზე და გულუბრყვილობაზე იყო ხოლმე დამყარებული. „ქართველებს მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობა აქვთ და ამაზეა დამყარებული მათი გულმოდგინეობა სრულიად რუსეთის კარისადმი და კეთილმოსურნეობა რუს ხალხისადმი"-ო, ასე ამბობდნენ რუსეთის მთავრობის წარმომადგენელნი, — და ამ ქართველთა მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობის საშუალებით ცდილობდნენ და ახერხებდნენ კიდეც ქართველების იმედად მოჯადოებას, რომ რუსეთის პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინათ.

როცა რუსეთისთვის საჭირო იყო, მაშინ მას აგონდებოდა, რომ ქართველები მხურვალე ქრისტიანები იყვნენ და მაჰმადიან ძლიერი სახელმწიფოების მძლავრობისაგან უკიდურესად შევიწროებულნი იყვნენ. ამ დროს, ის ვითომცდა კაცთმოყვარეობის გრძნობით აღსავსე არწმუნებდა საქართველოს, რომ მუდამ მის დახარებაზე ოცნებობს და მისთვის ზრუნავს. ასე იყო ხოლმე სანამ საქართველოს არ შეაცდენდა და თავის სამხედრო გეგმისდა მიხედვით ოსმალეთთან ან სპარსეთთან ომში, რომელსაც იგი განიზრახავდა, არ ჩარევდა. მაგრამ რა წამს რუსეთს თავისი პირადი მიზანი მიუღწევლად მიაჩნდა, ან ომის გაგრძელებას თავისთვის ხელსაყრელად აღარა სთვლიდა, ის საქართველოს უყოყმანოდ მიატოვებდა ხოლმე და მაშინ მას ყველაფერი ავიწყდებოდა, ქართველთა ქრისტიანობაც და გაჭირვებაც. ასეთ შემთხვევებში ის იმაზეც კი აღარ ფიქრობდა, რომ საქართველო სწორედ მის წყალობითა და მის მოქმედებით წინანდელზე უფრო უარესსა და უმწეო მდგომარეობაში ვარდებოდა ხოლმე.

გარეგნულად რუსეთის მთავრობა ვითომც სწუხდა, რომ საქართველო პოლიტიკურად დაუსრულებელი სახელმწიფო იყო და თითქოს ცდილობდა, რომ მისი სამხედრო ძლიერება გაზრდილიყო და საერთაშორისო მდგომარეობა გამტკიცებულიყო. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მაგ. თავის წარმომადგენელს საქართველოში კოვალენსკის სწერდა, რომ მას საქართველოს მეფისათვის ერჩია მუდმივი ლაშქარი ჰყავარსებინა და ხეირიანი არტილერია შეექმნა, რომ ამგვარად მეფეს საშუალება ჰქონოდა საჭიროებისამებრ პატარა სამხედრო ძალითაც სპარსთა მრავალრიცხოვანი, თავზეხელაღებული ბრბოებისათვის წინააღმდეგობა გაეწია. ამ საქმის განსახორციელებლად რუსეთის ხელმწიფე საქართველოს მეფეს ნებას აძლევდა საქართველოში დანიშნული იეგერთა პოლკის უფროსი და ოფიცრები ხელმძღვანელად გამოეყენებინა. მაგრამ ეს 1799 წელს იწერებოდა, როდესაც უკვე საქართველოს დამოუკიდებლობის ბედი თვით რუსთავე წყალობით გადაწყვეტილი იყო, ისე რომ ამ რჩევას მაშინ აღარავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

განსაკუთრებით საყურადღებო კი სწორედ ის გარემოებაა, რომ თვით საქართველოს მთავრობა მუდამ ცდილობდა დაწინაურებული სამხედრო ტექნიკა და მე ?ადრე ზარბაზნების ჩამოსხმა-მოხმარება შეესწავლა, ხოლო რუსეთის მთავრობა იდუმალად ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ საქართველოს თავის ეს წადილი ვერ განეხორციელებინა. ისე რომ თუ საქართველოს მე-XVIII ს-ის დასასრულს, როდესაც რუსეთის მთავრობის ზემომოყვანილი რჩევა იყო შედგენილი, შესაფერისი არტილერია არ ებადა, ამაში უმთავრესად თვით რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებს უძევთ ბრალი.

საქართველოში ძალიან კარგად ესმოდათ კარგ არტილერიის უაღრესი მნიშვნელობა ქვეყნის გარეშე მტრისგან უზრუნველყოფისათვის და სწორედ ამიტომაც არის რომ ერეკლე მეფე სულ იმის ცდაში იყო, რომ ვისგანმე ზარბაზნების გაკეთება და ხმარება შეესწავლა.

მან ისარგებლა კიდეც შემთხვევით რომ რუსთა ჯარში, რომელიც ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად მაშინ საქართველოში იყო გამოგზავნილი, არტილერიის საქმის მცოდნე პირები ქართველები იყვნენ და მათ მიჰმართა, რომ თავისი დიდის ხნის ნატვრა აესრულებინა. არტილერიის პოდპოლკოვნიკს ჩოლოყაშვილს და თავად თარხან-მოურავს სიხარულით უკისრიათ ეს საქმე. ისინი თურმე ერეკლე მეფეს ზარბაზნების მორტირების და ჰაუბიცების გაკეთებას და დადგმას ასწავლიდენ.

მოულოდნელად ამის გამო მთელი აურზაური ატყდა. თუმცა მაშინ ეს ქართველებს ეუცნაურათ, მაგრამ რუსეთის ჯარის უფროსმა ტოტლებენმა რომ ეს გარემოება შეიტყო, მაშინვე ჩოლოყაშვილსაცა და თარხან-მოურავსაც სასტიკად აუკრძალა, რომ მათ მეფე ერეკლესათვის საარტილერიო ხელოვნება ესწავლებინათ.

ამ ორს ქართველს არტილერისტს, როგორც სჩანს, ტოტლებენის ამგვარი ბრძანება უკანონოდ მიაჩნდათ და ეტყობა გულწრფელად დარწმუნებული იყვნენ, რომ რუსეთისათვისაც ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო, თუ კი საქართველოს მეფეს, ვითარცა რუსეთის ერთგულს მოკავშირეს და მის მფარველობის „ქვეშ" ყოფნას, სამხედრო საქმე კარგად შესწავლილი ექნებოდა. ამიტომ ორივენი ისევ ტფილისში დარჩნენ და წინანდებურად ერეკლე მეფეს ასწავლიდენ. მაშინ ტოტლებენმა 6 თებერვალს 1770 წელს რუსეთის მთავრობას ფრანგულად დაწერილი საიდუმლო მოხსენება გაუგზავნა, რომელშიაცატყობინებდა, რომ ჩოლოყაშვილი და თარხან-მოურავი ერეკლე მეფეს ზარბაზნების ჩამოსხმასა და დადგმას ასწავლიანო. თუმცა საქართველოს მეფე, სწერდა ტოტლებენი მთავრობას, რუსეთის ხელმწიფის მფარველობის ქვეშ არის, მაგრამ რუსეთის ინტერესებისათვის სასურველი არაა, საქართველოში რუსეთის ხელმწიფის ზარბაზნებს გარდა სხვისი ვისიმე ზარბაზნები იყოსო. ამიტომ ტოტლებენი მთავრობას სთხოვდა, რომ ყველა ქართველი ოფიცრები და თავად თარხან-მოურავი საქართველოთგან ისევ რუსეთში წაეყვანათ (წერილი იხ. ...) ქართველი ოფიცრები თავის მამულიშვილური გრძნობისა და პოლიტიკური სიბეცისათვის სასტიკად დაისაჯნენ. იძულებით რუსეთში წაყვანილნი და დაპატიმრებულნი საქმის გამოძიებას უცდიდენ, სანამ მათი უდანაშაულობა ყველასათვის ცხადი არ შეიქმნა.

ამ საიდუმლო მოხსენებითგან ცხადად სჩანს, რომ რუსეთის მთავრობისათვის საზოგადოდ საქართველოს გაძლიერება სრულებითაც საჭირო არ იყო. საქართველო ისეთ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო, რომ რუსეთის დაუხმარებლივ მას თავისი თავის დაცვა არ შესძლებოდა და მუდამ მხოლოდ რუსეთის შემავედრებელი და ხელში შემყურე ყოფილიყო.

მაშასადმე ყოველთვის ისე იყო ხოლმე, რომ რუსეთის „დახმარებას" დასაწყისში გარეგნულად საქვეყნოდ დიდი სახელი და რიხი ჰქონდა, შედეგი-კი მუდამ საშინელი და დამღუპველი იყო ჩვენი პატარა, მტრებით შემორტყმული ქვეყნისა და ერისათვის.

რუსეთის უპირობა და საქართველოს უმწეოდ მიტოვება მტრებთან ბრძოლის დროს ჩვენს ქვეყანას მარტო საერთაშორისო დამოკიდებულებას-კი არ უფუჭებდა, მარტო მის გარეშე მტრებს კი არ ათამამებდა, არამედ შინაურ ცხოვრებაშიც არევ-დარევასა და სხვადასხვა პოლიტიკურ დასთა შორის ბრძოლას აღწევებდა, მეფისა და მთავრობის პატივისცემისა და უფლების გაქარწყლებას ხალხის თვალში ხელს უწყობდა. ბევრნი ხედავდნენ, რომ მთავრობის მთელი პოლიტიკა საქართველოს უბედურების მეტს არას უმზადებდა და ამის გამო სპარსეთთან და ოსმალეთთან შეთანხმების მომხრენი დაუნდობლად ებრძოდნენ იმ წრეებს, რომელნიც რუსეთის მფარველობისა და მოკავშირეობის მომხრენი და მოთავენი იყვნენ. ეს შინაური უთანხმოება და ქიშპობა ძირს უთხრიდა ისედაც დაუსრულებელი ომებისა და მტრების შემოსევისაგან დასუსტებულს სახელმწიფოს.

ერეკლე მეფე ღრმად მოხუცებული მოუსვენარ ცხოვრებისა და თავდატეხილი უბედურებისაგან დაავადებული გულის ტკივილით შეჰყურებდა, როგორ ინგრეოდა ის პოლიტიკური და სამხედრო სიძლიერე, ქონებრივი კეთილდღეობაც, რომელიც მის მამის თეიმურაზ მე-II-ისა და მის პირად დაუღალავ შრომითა და გამჭრიახობით იყო მოპოვებული. მის სიბერის დღენი ეგების იმ მწარე გრძნობით იყო მოწამლული, რომ ამის ბრალი მის პირადს პოლიტიკურს გულუბრყვილობას და რუსეთის მთავრობისადმი განუსაზღვრელ ნდობასაც ედებოდა.

ერეკლე მეფეს დიდ ხანს აღარ უცოცხლია... 11 იანვარს 1798 წ. ქ. თელავში გარდაიცვალა 78 წლის მოხუცი გმირი პატარა-კახი.

# საქართველოს სახალხო ფრონტის მიერ წარდგენილი საქართველოს რესპუბლიკის კანონი მოქალაქეობის შესახებ

## (პროექტი)

მისთვის ცნობილი გახდება, რომ შეიძინა სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა, ვალდებულია ერთი წლის ვადაში უარი თქვას ერთ-ერთი სახელმწიფოს მოქალაქეობაზე. ამ ვადის მიმდინარეობა შეჩერდება საპატიო მიზეზის არსებობისას და განახლდება იმ გარემოების გაუქმების დღიდან, რომელიც საფუძვლად დაედო ვადის შეჩერებას. თუ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე საკუთარი სურვილის საფუძველზე მიიღებს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობას, მოქმედებს ამ კანონის მე-20 მუხლი.

მუხლი 4. საქართველოს რესპუბლიკაში პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს სრული მოცულობით ფლობს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე

მუხლი 5. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის საზღვარგარეთ ცხოვრება არ იწვევს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შეწყვეტას, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე საზღვარგარეთ სარგებლობს საქართველოს რესპუბლიკის მფარველობით და ვალდებულია შეასრულოს თავისი მოვალეობა მის წინაშე.

მუხლი 7. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის დაქორწინება იმ პირთან, რომელიც არ არის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, არ იწვევს მეუღლეთა მოქალაქეობის შეცვლას.

ერთ-ერთი მეუღლის მოქალაქეობის შეწყვეტა არ იწვევს მისი მეუღლის მოქალაქეობის შეწყვეტას.

### თავი II

### საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შეძენა

მუხლი 8. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შეძენა შეიძლება:

ა) დაბადებით (მუხლი 1-ის „დ", „ე", „ვ", „ზ", პუნქტებით მითითებული პირები);

ბ) რეგისტრაციით;

გ) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღებით (ნატურალიზაციით);

დ) ოპტაციის გზით ან იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებზე, რომლებსაც საქართველოს რესპუბლიკა ხელს მოაწერს.

მუხლი 9. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ქალის სხვა სახელმწიფოს მოქალაქე შვილი რეგისტრირებული იქნება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ, თუ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობს საქართველოს რესპუბლიკაში და სრულწლოვანების მიღწევის დღიდან ერთი წლის ვადაში განაცხადებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღების სურვილს და უარს იტყვის სხვა ქვეყნის მოქალაქეობაზე. ამ ვადის მიმდინარეობა შეჩერდება საპატიო მიზეზის არსებობისას და განახლდება იმ გარემოების გაუქმების დღიდან, რომელიც საფუძვლად დაედო ვადის შეჩერებას.

მუხლი 10. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობას მიიღებს სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) უარი განაცხადა სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობაზე, თუ იგი სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა;

ბ) მუდმივად ცხოვრობს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში;

გ) ფლობს ქართულ ენას;

დ) არ ჩადენია საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის, მისი ტერიტორიული მთლიანობის, ხელშეუხებლობის ან სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის დანაშაული, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 206[2]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული;

ე) უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში რომელიმე სახელმწიფოში არ ყოფილა მსჯავრდებული განზრახი სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, რომლისთვისაც შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა 2 წელზე მეტი ვადით;

ვ) არ უქმნის საფრთხეს საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობას და უარყოფითად არ მოქმედებს მოსახლეობის ზნეობაზე;

ზ) აქვს მუდმივი სამუშაო ან მუდმივი შემოსავლის ლეგალური წყარო საქართველოს რესპუბლიკაში;

თ) არ არის ცნობილი ვალაუვალად არცერთი სახელმწიფოს სასამართლოს მიერ;

ი) დადებს და ხელს მოაწერს საქართველოს რესპუბლიკის ერთგულების ფიცს.

მუხლი 11. ამ კანონის მე-10 მუხლის „ბ" და „გ" პუნქტებში გათვალისწინებულ მოთხოვნების დაცვის გარეშე საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ შეიძლება მიღებულ იქნეს:

ა) ყოველი ქართველი, რომელიც 2010 წლამდე დასახლდება საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივ საცხოვრებლად;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე მამაკაცის მეუღლე;

გ) პირი, რომელიც ჩადგა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამსახურში;

დ) პირი, რომელსაც თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის კულტურის, მეცნიერებისა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა დარგში, აგრეთვე ის პირი, რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება აქვს საქართველოს რესპუბლიკის წინაშე.

მუხლი 12. გადაწყვეტილება უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ მიღების (ნატურალიზაციის) შესახებ ძალაში შედის იმ დღიდან, როდესაც პირი წარმოადგენს ცნობას უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ.

### თავი III

### ბავშვის მოქალაქეობა მშობლების მოქალაქეობის შეცვლის შემთხვევაში

მუხლი 13. ორივე მშობლის მოქალაქეობის შეცვლა შესაბამისად იწვევს მათი არასრულწლოვანი შვილების მოქალაქეობის შეცვლას.

მუხლი 14. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე მამაკაცის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობიდან გასვლის ან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის დაკარგვისას მისი არასრულწლოვანი შვილი შეინარჩუნებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობას შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ იგი მუდმივად ცხოვრობს მეორე მშობელთან, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეა;

ბ) თუ იგი ვერ შეიძენს იმ სახელმწიფოს მოქალაქეობას, რომლის მოქალაქეობაც მიიღო მამამ.

მუხლი 15. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ქალის, რომელსაც ქორწინების გარეშე დაბადებული შვილი ჰყავს, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობიდან გასვლის ან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის დაკარგვის შემთხვევაში, არასრულწლოვანი შვილი შეინარჩუნებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობას, თუ იგი ვერ შეიძენს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობას.

მუხლი 16. ორივე მშობლისათვის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის ჩამორთმევა არ იწვევს მათი არასრულწლოვანი შვილისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევას.

მუხლი 17. მშობლების მოქალაქეობის შეცვლის შემთხვევაში 14-დან 18 წლამდე ასაკის შვილთა მოქალაქეობა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მათი წერილობითი თანხმობით, დამტკიცებული სანოტარო წესით.

### თავი IV

### საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შეწყვეტა და აღდგენა

მუხლი 18. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობიდან გასვლა;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის დაკარგვა;

გ) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის ჩამორთმევა;

დ) საქართველოს რესპუბლიკის მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 19. საქართველოს რესპუბლიკის სრულწლოვან ქმედუნარიან მოქალაქეს აქვს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობიდან გასვლის უფლება.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას მოქალაქეობიდან გასვლაზე შეუსრულებელი სამხედრო მოვალეობის ან ქონებრივ ვალდებულებათა არსებობისას. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 აბზაცით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამხედრო ვალდებულების შეუსრულებლობა არ ჩაითვლება მოქალაქეობიდან გასვლაზე უარის თქმის საფუძვლად.

არ დაიშვება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობიდან გასვლა, თუ პირი, რომელიც შეიტანს სასამართლოში განცხადებას მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ, მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში, მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება, აგრეთვე თუ პირის მიერ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობიდან გასვლა ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების ინტერესებს.

ომის ან საომარი მდგომარეობის არსებობისას საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობიდან გასვლა ხდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ნებართვით. (ვარიანტი: პარლამენტის თავმჯდომარე-სახელმწიფოს მეთაურის ნებართვით).

არ შეიძლება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობიდან გასვლაზე უარი ეთქვას პირს, რომელიც დაიბადა და განუწყვეტლივ ცხოვრობს საზღვარგარეთ.

გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ ძალაში შედის იმ დღიდან, რა დღიდანაც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობიდან გასვლის მსურველი პირი წარმოადგენს ცნობას სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის შეძენის შესახებ.

გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობიდან გასვლაზე ნებართვის შესახებ უქმდება თუ აღნიშნული პირი ერთი წელი მაინც დარჩება საქართველოს რესპუბლიკაში და არ მიიღებს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობას.

მუხლი 20. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე კარგავს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობას შემდეგ შემთხვევებში:

ა) საკუთარი სურვილის საფუძველზე მიიღებს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობას;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების ნებადაურთველად შევა სხვა სახელმწიფოს სამხედრო სამსახურში, პოლიციაში, იუსტიციის ორგანოებში, აგრეთვე სხვა სახელმწიფოს ხელისუფლებისა თუ მმართველობის ორგანოებში (გარდა ტექნიკური პერსონალისა);

გ) 25 წლის ასაკის მიღწევამდე არ დასახლდება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა შეიძინა დაბადებით საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და მუდმივად არ უცხოვრია საქართველოს რესპუბლიკაში;

დ) სრულწლოვანების მიღწევამდე გადავიდა მუდმივ საცხოვრებლად საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, თუ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა შეიძინა ამ კანონის პირველი მუხლის „ვ" პუნქტის საფუძველზე;

ე) არ შეასრულებს ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 აბზაცით გათვალისწინებულ მოვალეობას.

მუხლი 21. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა ჩამოერთმევა:

ა) ერთგულების ფიცის უხეში და სისტემატური დარღვევის შემთხვევაში;

ბ) თუ დამნაშავედ იქნება ცნობილი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე, 67–71, 73-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, ხოლო ომის ან საომარი მდგომარეობის დროს, აგრეთვე 82-ე, 262-ე და 263-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში;

გ) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის ყალბი ცნობების ან საბუთების წარდგენით შეძენის შემთხვევაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეობის მოწმობა შეცდომით იქნა გაცემული; ან თუ პირი დასახლდა საქართველოს რესპუბლიკაში არსებული კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით.

დ) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღებიდან 8 წლის ვადაში რომელიმე სახელმწიფოში განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდების შემთხვევაში, რომლისთვისაც შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა წელზე მეტი ვადით.

ე) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღებიდან 8 წლის განმავლობაში არანაკლებ 2 წლით საზღვარგარეთ ცხოვრების შემთხვევაში, თუ იგი ამ დროს არ იმყოფებოდა საქართველოს რესპუბლიკის ან იმ საერთაშორისო ორგანიზაციების სამსახურში, რომლის წევრიც არის საქართველოს რესპუბლიკა, ან ყოველწლიურად არ ადასტურებდა საქართველოს რესპუბლიკის საკონსულოში ან სხვა გზით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შენარჩუნების სურვილს;

ვ) დაქორწინების დღიდან 3 წლის განმავლობაში ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში, თუ ქორწინება არ შეწყდა მეუღლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, როდესაც ამ პირს მოქალაქეობა მიღებული აქვს ამ კანონის მე-11 მუხლის „ბ" პუნქტის საფუძველზე;

ზ) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღებიდან რვა წლის ვადაში შეწყვეტს სამხედრო სამსახურს არასაპატიო მიზეზით საკუთარი სურვილის საფუძველზე, დისციპლინის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, თუ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა მიიღო ამ კანონის მე-11 მუხლის „გ" პუნქტის საფუძველზე.

მუხლი 22. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა აღუდგება პირს, რომელსაც არამართლზომიერად ჩამოერთვა მოქალაქეობა.

პირს, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა შეუწყდა მოქალაქეობიდან გასვლის, მშობლების არჩევანის ან მე-20 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით დაკარგვის შედეგად, შეიძლება აღუდგეს მოქალაქეობა თუ იგი სამი თვის ვადაში მოქალაქეობის შეწყვეტის ან სრულწლოვანების მიღწევის დღიდან დასახლდება ან განაგრძობს ცხოვრებას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, იცხოვრებს არანაკლებ ორი წლისა და აკმაყოფილებს ამ კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს, გარდა „ბ" პუნქტისა.

საქართველოს რესპუბლიკის ყოფილ მოქალაქე ქალს, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობიდან გავიდა სხვა სახელმწიფოს მოქალაქესთან ქორწინების გამო, საქართველოს რესპუბლიკის მოქალქეობა აღუდგება, თუ იგი ქორწინების შეწყვეტის დღიდან 3 თვის ვადაში დასახლდება საქართველოს რესპუბლიკაში და აკმაყოფილებს მე-10 მუხლის მოთხოვნებს, გარდა „ბ" და „გ" პუნქტებისა.

ამ მუხლის მეორე და მესამე აბზაცში აღნიშნული ვადის მიმდინარეობა შეწყდება საპატიო მიზეზის არსებობისას და ხელახლა დაიწყება იმ გარემოების გაუქმების დღიდან, რომელიც საფუძვლად დაედო ვადის შეწყვეტას.

სხვა პირებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა აღუდგებათ ამ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით.

### თავი V

### მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის წესი

მუხლი 23. საქართველოს რესპუბლიკაში მოქალაქეობის მიღების, მოქალაქეობის შეწყვეტის ან მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს და გადაწყვეტს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო. მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხების განხილვისას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესებით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ამ კანონის მე-11, მუხლის „დ" პუნქტით გათვალისწინებული პირის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობაში მიღების უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს-სახელმწიფო მეთაურს

მუხლი 24. დაინტერესებულ პირს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შეძენის, მოქალაქეობიდან გასვლის ან მოქალაქეობაში აღდგენის შესახებ წერილობითი თხოვნა შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში.

საჭიროებისდა მიხედვით წერილობით თხოვნას თან უნდა დაერთოს დაბადების მოწმობა, ცნობა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ, ცნობა სამუშაო ადგილიდან, წერილობითი უარი სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობაზე ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და ცნობა ქართული ენის ფლობის შესახებ, გაცემული კომპეტენტური ორგანოების მიერ, აგრეთვე სხვა დოკუმენტები.

მუხლი 26. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე დაინტერესებული პირის წერილობით თხოვნას განიხილავს არაუადრეს 6 და არაუგვიანეს 12 თვისა მისი შეტანის დღიდან.

მე-11 მუხლის „ა", „ბ", „გ", „დ" პუნქტებით გათვალისწინებულ მოქალაქეთა წერილობით თხოვნებს უზენაესი სასამართლო განიხილავს არაუგვიანეს 3 თვისა მათი შეტანის დღიდან.

მუხლი 27. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის საკითხებზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება.

მუხლი 28. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის საკითხებზე ერთი და იგივე შინაარსის წერილობითი თხოვნის განმეორებით შეტანა შეიძლება მის დაკმაყოფილებაზე უზენაესი სასამართლოს მიერ უარის თქმიდან არაუადრეს 1 წლისა.

მუხლი 29. ამ კანონის 1 მუხლის „ა" და „ბ", პუნქტებით, აგრეთვე მე-9 მუხლით გათვალისწინებულ პირებს წერილობითი თხოვნა შეაქვთ შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში ან საქართველოს რესპუბლიკის საკონსულო წარმომადგენლობაში.

წერილობით თხოვნას თან უნდა დაერთოს დაბადების მოწმობა, ცნობა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში სხვა აუცილებელი საბუთები.

მუხლი 30. შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებას ან საქართველოს რესპუბლიკის საკონსულო წარმომადგენლობას გამოაქვს დადგენილება პირის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ წერილობითი თხოვნის შეტანის დღიდან 1 თვის ვადაში. შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებას ან საქართველოს რესპუბლიკის საკონსულო წარმომადგენლობას დადგენილება პირის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ რეგისტრაციის შესახებ გამოაქვს მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირი დადებს და ხელს მოაწერს საქართველოს რესპუბლიკის ერთგულების ფიცს.

შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ან საქართველოს რესპუბლიკის საკონსულო წარმომადგენლობის დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს უზენაეს სასამართლოში.

მუხლი 31. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის მოქალაქეობის დამადასტურებელ საბუთს წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მოწმობა.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მოწმობას გასცემს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილება ან საქართველოს რესპუბლიკის საკონსულო წარმომადგენლობა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ რეგისტრაციის ან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან 10 დღის ვადაში.

ამ კანონის 1 მუხლის „გ", „დ", „ე", „ვ" და „ზ" პუნქტებით გათვალისწინებულ პირებზე საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მოწმობა გაიცემა მათი სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, თუ აღნიშნული პირები დადებენ და ხელს მოაწერენ საქართველოს რესპუბლიკის ერთგულების ფიცს.

### თავი VI

### საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენება

მუხლი 39. თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან საერთაშორისო შეთანხმებებით, რომლებშიც საქართველოს რესპუბლიკა მონაწილეობს, ამ კანონისაგან განსხვავებული წესებია დადგენილი, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებების ან საერთაშორისო შეთანხმებების მოთხოვნები.

### დამატება

### საქართველოს რესპუბლიკის ერთგულების ფიცი

„მე ... (სახელი და გვარი)... ვდებ რა საქართველოს რესპუბლიკის ერთგულების ფიცს, ვაცხადებ რომ აბსოლუტურად და მთლიანად უარს ვამბობ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობაზე და ერთგულებაზე, პატივს ვცემ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო და საზოგადოებრივ წყობილებას, ვიცი (პირობას ვიძლევი რომ ვისწავლი) ქართული ენა და ღმერთისა და ერის წინაშე ვფიცავ რომ ვიქნები საქართველოს რესპუბლიკის ჭეშმარიტი, ერთგული და თავდადებული მოქალაქე, შევასრულებ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების კანონიერ მოთხოვნებს, დავიცავ საქართველოს რესპუბლიკას, მის ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს".

საქართველოს რესპუბლიკის ფიცი იდება საზეიმო ვითარებაში ქართულ ენაზე

კანონპროექტი შეიმუშავეს სახალხო ფრონტთან არსებული ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრებმა, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტებმა: **ზურაბ ადეიშვილმა, ვაჟა ხიდაშელმა, მუხრან მდივანმა.**

# გაეროში რა გვინდოდა, თუ...

ყველას გვახსოვს, რა ამბით ვიდღესასწაულეთ შარშან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანება.

საზეიმო მართლაც იყო. ამ აქტით ხომ მოხდა ჩვენი ქვეყნის, როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს, ასე ვთქვათ, „პრეზენტაცია“ მსოფლიო ხალხთა თანამეგობრობის წინაშე. გვახსოვს ამასთან დაკავშირებით გენერალური ასამბლეის სესიაზე ბატონების ედუარდ შევარდნაძისა და ალექსანდრე ჩიკვაიძის მშვენიერი გამოსვლებიც.

იმ დღეებში ბევრი ითქვა, დაიწერა, რომ გაეროში შესვლის შემდეგ საქართველოს ეგზომ ადვილად ვერავინ „ჩაარტყამდა თავში“, ეცოდინებოდა რა ავისმზრახველს, რომ ამგვარ შემთხვევაში „საქმე“ მსოფლიო თანამეგობრობასთან ექნებოდა, პასუხი მოეთხოვებოდა,,ისე, როგორც ხდება ეს ამა თუ იმ ქვეყანასთან მიმართებაში და რისი მოწმენიც ხშირად ვართ.

მაგრამ ეს რომ აღსრულდეს, აგრესორი რომ განსასჯელის სკამზე აღმოჩნდეს, ამისათვის ერთი პატარა, წინასწარი პირობის შესრულებაა საჭირო-აგრესიის ობიექტმა გაეროს, კერძოდ, მის უშიშროების საბჭოს სათანადო განცხადებით (საჩივრით) უნდა მიმართოს.

თუ როგორ მოხერხებულად იყენებენ მავანნი პროპაგანდისტული მიზნებისათვის გაეროს, ამაზე შემდეგი მაგალითიც მეტყველებს: საკმარისია, ისრაელმა რამდენიმე არაბი ტერორისტის დეპორტაცია მოახდინოს, რომ არაბული ქვეყნები ერთ ამბავს ასტეხენ ხოლმე, მათი მოთხოვნით სასწრაფოდ იმართება უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომები და არცთუ იშვიათად თავიანთთვის სასარგებლო რეზოლუციის გამოტანასაც ახერხებენ, რითაც მომგებიან პოლიტიკურ ქულებს იწერენ აქტივში.

ჩვენ?!

რას ვაკეთებთ, რასა ვშვრებით აფხაზეთში რუსეთის აშკარა აგრესიის ქვეშ მყოფნი ამ მიმართულებით?!

თითქმის არაფერს.

უშიშროების საბჭოს. სხდომის მოწვევის მოთხოვნას ვინ ჩივის, ისიც კი „გვეუხერხულება“ ხოლმე, რომ ამ ორგანიზაციას რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებით (ჩვენში მორცხვად „ესენგე“-ს თვითმფრინავებს რომ უწოდებენ ზოგჯერ) სოხუმის, მისი მშვიდობიანი უბნებისა და მოსახლეობის, როგორც ბატონი ტარიელ ჭანტურია იტყოდა ბარბაროსული დაბომბვის, ნგრევისა და მსხვერპლის შესახებ ვაცნობოთ, და სხვა თუ არაფერი, ამ გზით მაინც ვეცადოთ ინფორმაციული ბლოკადის გარღვევა. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ უკვე 6 თვეა გაეროში, და არა მარტო გაეროში — ისიც კი არ დავაფიქსირეთ (დავაფიქსირებინეთ), რომ რუსეთის (ჩრდილოეთ კავკასიის) მხრიდან განუწყვეტლივ ირღვევა საქართველოს საზღვრები, შემოდიან ათასგვარი ჯურის დაქირავებულები; რომ აქ მიმდინარე ბრძოლებში აშკარად მონაწილეობენ რუსეთის შეიარაღებული ძალები...

(არადა, სხვა რა არის აგრესია?!)

რატომ ხდება ასე?! უფრო ზუსტად, რატომ არ ხდება გაეროში რუსეთის, ამ ჭეშმარიტი აგრესორის „ხელდაღებით გამოჭენება“?!

* * *

არ ხდება იმიტომ, რომ — ჩემი აზრით, რასაკვირველია, — დღემდე ვერ მივეჩვიეთ, ვერ გავიცნობიერეთ, ვერ გავითავისეთ ის ფაქტი, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ, (ყოველ შემთხვევაში, რომ უნდა ვეცადოთ, ვიყოთ დამოუკიდებელი სახელმწიფო), ვერ „ვბედავთ“ ვიქცეოდეთ ისე, როგორც ეს სუვერენულ, „თავმოყვარე“ სახელმწიფოს ეკადრება, ევალება! განსაკუთრებით ვერ მივეჩვიეთ ამ „დამოუკიდებლობის ფაქტორს“ რუსეთთან მიმართებაში.

დიახ, ვერ გადაილახა „რუსეთის კომპლექსი“, სრულყოფილად ვერ მოხდა რუსეთისაგან „გაუცხოება“ — რომ უკვე სხვა და სხვანი ვართ!..

და ეს ახალი“ გარემოება უნდა გავიცნობიეროთ, „გავიგოთ“ არა მარტო შიგნით, ჩვენთვის, არამედ უნდა ვაგრძნობინოთ, გავაგებინოთ გარეთაც. და გავაგებინოთ სწორედ გაეროს მეშვეობითაც, მისი უშიშროების საბჭოსადმი ზემოაღნიშნული მიმართვების, სხდომების მოწვევის მოთხოვნათა გზითაც.

* * *

იტყვიან, რუსეთის გაღიზიანება, განაწყენება არ გვინდა და იმიტომ არ „ვაბეზღებთ“ გაეროში.

აი, ამას, რომ იტყვიან (იფიქრებენ), ესეცაა ერთი მთავარი ნიშანი, მადასტურებელი იმისა, რაზედაც ზემოთ მოგახსენებდით (საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს „ფაქტობრიობის“ გაუცნობიერებლობა, „რუსეთის კომპლექსის“ გადაულახველობა და სხვ).

ამასთან, აქ, ამგვარი „გულუბრყვილო“ კითხვაც ჩნდება: კი მაგრამ, „გაღიზიანებულ-განაწყენებულმა“ რუსეთმა იმაზე მეტი რაღა უნდა გაგვიკეთოს, რასაც „უსაბაბ-უმიზეზოდაც“ „მშვენივრად“ აკეთებს?! (ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ რომ აქ ერთმანეთს ვხოცავთ, დავდოთ თუ არა „მეგობრობის“ ხელშეკრულება რუსეთთანო, ერთი იქითაც გავიხედოთ, რატომ ვხუჭავთ თვალს, რატომ „ვერ ვამჩნევთ“, თუ როგორ „იპრანჭება“ რუსეთი, თუ ამას და ამას არ იზამთ, ხელშეკრულებას არ დავდებ თქვენთანაო; რომ ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა მარ[illegible] ჩავუვარდეთ, ჰიღუპებით, გვიშველეო!..)

* * *

„გაღიზიანებასთან“ დაკავშირებით ერთი მეტყველი მაგალითი უნდა გავიხსენო: შარშან, როცა მოლდოვაში ( რომლის მდგომარეობაც ძალიან ჰგავს ჩვენსას) განლაგებულმა რუსეთის მეთოთხმეტე არმიამ „დნეპრისპირეთის რესპუბლიკის“ „დასაცავად“ მოლდოველთა წინააღმდეგ იარაღი აღმართა, მოლდოვამ არც აილო , არც დაიღო და „უხეშად“ მოითხოვა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის გამართვა.

გაიმართა კიდეც, და არა უბრალოდ გაიმართა, რუსეთს „ჭკუისკენ მოუხმეს“.

„გაღიზიანებულ-განაწყენებულმა“ რუსეთმა რაღა ქნა?

ბევრი არაფერი, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მართლა „ჭკუას მოუხმო“ — იმის შემდგ მეთოთხმეტე არმიამ მოლდოვას წინააღმდეგ აღმართული იარაღი ძირს დაუშვა.

* * *

არ ვამტკიცებ, საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთშიც მაინცდამაინც ასე „მოჭკვიანდება“ რუსული არმია— თქო, მაგრამ, იმის „იმედით“, მაინც არაფერი გამოვაო, მართლა არაფერს არ უნდა ვეცადოთ?! **საგნებს თავისი სახელი არ უნდა ვუწოდოთ?! ეს „საგნები“ გაეროში, უშიშროების საბჭოში არ უნდა „დავდოთ“?!**

* * *

ისე, სხვათაშორის, შვეიცარია სულ არაა გაეროს წევრი...

კი, რა თქმა უნდა, ჩვენ შვეიცარია არ ვართ...

შვეიცარია რომ არ ვართ, შვეიცარიის მეზობლების მსგავსი მეზობლები რომ არ გვყავს, იმიტომაც გვიხაროდა გაეროში შესვლა!..

**ფელიქს კოჭიაშვილი**

# ყველაზე პირსისხლიანი კერპი

**1789 წელს** ამერიკის კონსტიტუციაში შეიტანეს ეგრეთწოდებული მეორე შესწორება-ბილი (კანონპროექტი) უფლებათა შესახებ,-რომელმაც სიტყვისა და კონფესიის თავისუფლებასთან ერთად დააკანონა იარაღის შეუზღუდავი თავისუფლებაც: „ვინაიდან თავისუფალი სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის აუცილებელია კარგად ორგანიზებული სახალხო ლაშქარი, ხალხის უფლება-შეინახოს და ატაროს იარაღი, არ ექვემდებარება შეზღუდვას“.

ორას წელზე მეტი გავიდა ამ სიტყვების დაწერიდან. ამ ხნის განმავლობაში ამერიკა იქცა ცეცხლსასროლი იარაღის ნამდვილ მექად.

ამერიკელები, რომლებიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე სამართლიანად ამაყობენ თავისი დემოკრატიით, აღნიშნავენ, რომ სწორედ ცეცხლსასროლი იარაღის შეუზღუდავმა გავრცელებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი რესპუბლიკის ფორმირებასა და მის დაცვაში. ამ სიტყვებში არაფერია მოგონილი და გადაჭარბებული და კონსტიტუციაშიც ზემოხსენებული მუხლის შეტანას ჰქონდა ისტორიული წინაპირობები.

საქმე იმაში გახლავთ, რომ იმდროინდელ ამერიკელებს ეშინოდათ მუდმივი არმიის, რომელსაც თავისუფლების დამღუპველს ეძახდნენ და მხარს უჭერდნენ სახალხო ლაშქრის იდეას. ამიტომაც იყო, რომ სახალხო ლაშქრის მხედართმთავარი ჯორჯ ვაშინგტონი მთლიანად დამოკიდებული იყო შტატებზე, რომლებიც თავისი ნება-სურვილის მიხედვით უგზავნიდნენ მოხალისეებს. იყო ასეთი ფაქტებიც: როცა ნიუ-ჯერსის შტატიდან მოლაშქრეები გამოცხადდნენ ჯორჯ ვაშინგტონთან, მათ თავდაპირველად უარი განაცხადეს დაედოთ ფიცი ამერიკის შეერთებული შტატების ერთგულებაზე. „ჩვენი ქვეყანა — ეს ნიუ — ჯერსია“, განაცხადეს მოხალისეებმა. ასევე იქცეოდნენ მასაჩუსეტსელი, ვირჯინიელი თუ სხვა შტატიდან მოსული ვოლონტიორები.

მეთვრამეტე საუკუნის ამერიკელისთვის სამშობლო იყო მისი შტატი, და მის თავისუფლებას იცავდა თანამემამულეთაგან შემდგარი შტატის ლაშქარი. ეს დამოკიდებულება დიდი ხნის განმავლობაში მყარად იყო ხალხში გამჯდარი. ზოგადეროვნული არმიისა და ერთიანი რესპუბლიკისადმი გაუცხოების გრძნობა წმინდა ფსიქიკურსაწყისებსაც უკავშირდებოდა. თაობათა განმავლობაში ამერიკელთა ხსოვნაში ცოცხლობდა აზრი იმის თაობაზე, რომ ევროპელი მონარქები სწორედ რეგულარულ არმიებს იყენებდნენ მათი წინაპრების შესავიწროვებლად. „როცა მთავრობას სურს ხელი აღმართოს ხალხის თავისუფალ ნებაზე, იგი ცდილობს დაშალოს ლაშქარი და მის ნანგრევებზე შექმნას რეგულარული არმია“-ო, წერდა 1789 წელს ელბრიჯ გარი.

ასეთი დამოკიდებულება დღეს, ბუნებრივია, ანაქრონიზმად ითვლება.

ორასი წლის განმავლობაში,-რასაც თან ახლდა ორი მსოფლიო და სხვა მრავალი, მცირე თუ დიდი მასშტაბების ომები, — ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებმა გარდაუვალად მოითხოვა ერთიანი, ეროვნული არმიის შექმნა. (თუმცა სახალხო ლაშქარი ეროვნული გვარდიის სახით კვლავ არსებობს).

მაგრამ არ შეცვლილა მეორე შესწორებაში დაკანონებული უფლება იარაღის შეუზღუდავად გავრცელების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამავე ორასი წლის განმავლობაში იმდენი უბედურება მოხდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, რომ ადამიანის უსაფრთხოება დიდი ხანია საჭიროებს კონსტიტუციის ამ მუხლში კორექტივის შეტანას. თავად განსაჯეთ, მარტო 1988 წელს შეერთებულ შტატებში პისტოლეტით მოხდა 9000 მკვლელობა. 1989 წელს მხოლოდ ვაშინგტონში დაფიქსირდა ოთხასი მკვლელობა. ყოველდღიურად სულ უფრო მეტი ცეცხლსასროლი იარაღი ხვდება ფსიქოპატების, სადისტების და ნარკომანების ხელში. სტატისტიკის მიხედვით, საერთოდ ოთხმოციან წლებში ცეცხლსასროლი იარაღით მოკვდა 250 000 ამერიკელი, ოთხჯერ მეტი, ვიდრე დაიღუპა ვიეტნამის ომში.

დიახ, თავად ცხოვრება კარნახობს ამერიკელ კანონმდებლებს, დააწესონ კონტროლი და წინ აღუდგნენ მეოცე საუკუნის ყველაზე საშიშ ეპიდემიას, რომელიც სულ უფრო მეტად ედება ქვეყნის სხეულს და პირსისხლიანი კერპივით უამრავ მსხვერპლს ითხოვს. მაგრამ, საუბედუროდ, ამერიკის კონგრესმა ჯერჯერობით ვერ მიიღო იარაღის მაკონტროლირებელი კანონი, რადგან კანონშემოქმედთა ყოველ მცდელობას გააფთრებული წინააღმდეგობა ხვდება ეროვნული სამსროლელო ასოციაციისაგან, რომელიც ერთ-ერთი უძველესი და უძლიერესი ლობისტური ორგანიზაციაა აშშ-ში.

ეს ორგანიზაცია 1871 წელს შექმნეს ჩრდილოეთის ჯგუფის ოფიცრებმა და დღეისათვის 3 მილიონამდე წევრს აერთიანებს. (საერთოდ, ამერიკაში 70 მილიონი იარაღის მფლობელია!). ფანატიკურად განწყობილი ესა-ს წევრების იარაღი სარწმუნოებრივ რანგში აჰყავთ და მიიჩნევენ, რომ „მათ ორგანიზაციას ისევე უნდა უყურებდნენ, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ დიდ რელიგიას“.

1981 წელს, როდესაც ამერიკის ისტორიაში პირველად, ილინოისის შტატის ქალაქ მორტონ-გროვში აკრძალეს პირადი იარაღი, ეროვნულმა სამსროლელო ასოციაციამ დაარწმუნა 38 შტატი მიეღოთ პრევენტული კანონები, რომლებიც უკრძალავდა ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებს მსგავსი ღონისძიებების გატარებას.

ესა-მ ხანგრძლივი ლობისტური შტუდიების შემდგომ 1986 წელს მიაღწია იარაღის კონტროლის შესახებ იმ კანონთა შესუსტებას, რომელიც 1968 წელს მიიღო კონგრესმა მარტინ ლუთერ კინგისა და რობერტ კენედის მკვლელობით გამძვინვარებული საზოგადოების დასაშოშმინებლად. საერთოდ, რეიგანის მმართველობის დროს ესა ფრთაგაშლილი მოქმედებდა. პრეზიდენტი თავად იყო ეროვნული ასოციაციის მუდმივი წევრი და აქტიური მოწინააღმდეგე იარაღზე ყოველგვარი კონტროლისა, მიუხედავად იმისა, რომ 1981 წელს კინაღამ იარაღით თავდასხმის მსხვერპლი გახდა. თუმცა პრეზიდენტობის შემდგომ რეიგანის შეხედულება მკვეთრად ნეგატიურად შეიცვალა იარაღზე და სწორედ მისი ხელშეწყობით იხილა მწვანე შუქი, ბოლოსდაბოლოს, ჯეიმს და სარა ბრეიდების კანონპროექტმა კონგრესის წარმომადგენლობის პალატასა და სენატში. ჯეიმს ბრეიდი რეიგანის პრესმდივანი გახლდათ, რომელიც პრეზიდენტზე თავდასხმის დროს მძიმედ დაჭრა ფსიქოპატმა ჯონ ჰინკლიმ. ე. წ. ბრეიდების კანონპროექტი მოითხოვდა მხოლოდდამხოლოდ იარაღის მყიდველთა შვიდდღიან შემოწმებას ფსიქოლოგიური და იურიდიული თვალსაზრისით. და, ასეთ, ერთი შეხედვით უწყინარ და უმნიშვნელო კონტროლსაც კი გააფთრებული წინააღმდეგობა შეხვდა ესა-ს ლობისტებისგან.

მაგრამ რაც დრო გადის, იარაღის მიმართ ტრადიციული, შეიძლება ითქვას, კერპთაყვანისმცემლური სიყვარული, თანდათან იცვლება ჯანსაღი საზოგადოებრივი მიდგომით. სი-ენ-ენის ერთ-ერთი უკანასკნელი პლებისციტის მიხედვით ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელთა 73 პროცენტი (მათი რიცხვი 70 მილიონს შეადგენს ამერიკაში) ამართლებს ნახევრადავტომატური იარაღის სავალდებულო რეგისტრაციას, 87 პროცენტმა გამოთქვა მზადყოფნა მხარი დაუჭიროს ფედერალურ კანონს იარაღის შეძენის მსურველთა შვიდდღიანი შემოწმების შესახებ. გარდა ამისა შეიქმნა და დღითიდღე ძლიერდება საზოგადოებრივი ორგანიზაცია-“იარაღის კონტროლი“, რომელსაც ზემოხსენებული სარა ბრეიდი ხელმძღვანელობს.

სამწუხაროდ, ცეცხლსასროლი იარაღის მოწინააღმდეგეები იარაღის კონტროლზე უფრო შორს ჯერჯერობით ვერ მიდიან და საეჭვოა, რომ ახლო მომავალში შეძლონ რაიმე რადიკალური ღონისძიების გატარება. რადგან არ არის გამორიცხული, რომ იარაღის აკრძალვაზე საკითხის დაყენებას მეორე სამოქალაქო ომი მოჰყვეს.

საქართველოში ვიდრე ამ მასშტაბებით არ გაზრდილა იარაღის მფლობელთა რიცხვი, საჭიროა ახლავე დავფიქრდეთ რის დაკანონებას ვაპირებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მომავლისათვის ამ საქმეს აღარაფერი ეშველება...

**ჟურნალ „ამერიკის“ (№421, 1991 წ)**
**მიხედვით მოამზადა**
**კობა ლიკლიკაძემ**



# მეცნიერება

ზნეობა ანუ მორალი აყალიბებს ადამიანის ქცევის წესებსა და ნორმებს. იგი განსაზღვრავს პიროვნების დამოკიდებულებას სხვა ადამიანებთან, ოჯახთან, სახელმწიფოსთან, საზოგადოებასთან, სამშობლოსთან და სხვა. მისი საფუძველია სიკეთის დამკვიდრება და ბოროტების გამორიცხვა. ზნეობრივია ის ქცევა, რომელიც სიკეთეს, ხოლო უზნეოა, რომელიც ბოროტებას თესავს ადამიანებს შორის. ამგვარად, ზნეობრივსა და უზნეოს შორის გამიჯვნის კრიტერიუმია განსხვავება სიკეთესა და ბოროტებას შორის. მაგრამ სიძნელე სწორედ აქაა — როგორ განვასხვავოთ სიკეთე ბოროტებისაგან? რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება? ეს არის კითხვები, რომლებიც დასაბამიდან აწუხებს ადამიანს და მათზე ნათელი და ერთმნიშვნელოვანი პასუხი ჯერ კიდევ არ მოუპოვებია. ეთიკა ის ფილოსოფიური დისციპლინაა, რომელიც

დამოუკიდებლად იმისა, შენი მოძმეა თუ მტერი იგი. დაჩაგრულს, თუნდაც მტერი იყოს და გძულდეს, ისევე უნდა დაეხმარო, როგორც შენს ახლობელს, რომელიც გიყვარს. ამას მოითხოვს ზნეობრიობის კანონი, რომელიც კანტმა ჩამოაყალიბა კატეგორიული იმპერატივის სახით: „მოიქეცი ისე, რომ კაცობრიობას, გინდ შენი, გინდ ნებისმიერი სხვა ადამიანის სახით, მოეპყრა ისე, როგორც მიზანს და არასოდეს არ მოეპყრა ისე, როგორც მხოლოდ საშუალებას“. ეს ნიშნავს, რომ მორალური ქცევა მოითხოვს ნებისმიერი ადამიანი (გინდ ახლობელი, გინდ უცხო) განიხილო როგორც მიზანი და არა როგორც მხოლოდ საშუალება. ზნეობრივია ადამიანის ისეთი ქმედება, როდესაც იგი სხვა ადამიანზე ზრუნავს როგორც მიზანზე.

გერმანელმა ფილოსოფოსმა ფრიდრიხ ნიცშემ (1844—1900) გაილაშქრა საერთოდ მორა-

# პოლიტიკა და ზნეობა

## რა არის ზნეობა?

### (წერილი მეორე)

**დაჩაგრულს, თუნდაც მტერი იყოს და გძულდეს, ისევე უნდა დაეხმარო, როგორც შენს ახლობელს, რომელიც გიყვარს. ამას მოითხოვს ზნეობრიობის კანონი.**

**კანტი**

**„სუსტები და უიღბლონი უნდა დაიღუპნონ. ეს არის ადამიანისადმი ჩვენი სიყვარულის დებულება“. „დაცემული ჩაწიხლე“.**

**ნიცშე**

ცდილობს ამ საკითხების გარკვევას.

სიკეთის კრიტერიუმად ფილოსოფიის ისტორიაში სხვადასხვა პრინციპი იყო წამოყენებული. სანიმუშოდ განვიხილოთ რამდენიმე მათგანი. ერთ-ერთი იყო ბედნიერების პრინციპი. სიკეთეა ის, რასაც ბედნიერება მოაქვს ადამიანისათვის. ეთიკას, რომელიც ამ პრინციპს ემყარება, ეწოდება ევდემონისტური. „ევდემონოს“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ბედნიერებას, ნეტარებას. მეორე იყო კმაყოფილების პრინციპი. ეთიკას, რომელიც მას ემყარება, ეწოდება ჰედონისტური. „ჰედონ“-ი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ტკბობას. სიკეთეა ის ქცევა, რასაც ადამიანისათვის კმაყოფილება მოაქვს, ათავისუფლებს ტანჯვისაგან და ანიჭებს სულის სიმშვიდეს. მესამე არის უტილიტარული ეთიკა („უტილიტას“-ლათინური სიტყვაა და სარგებლობას ნიშნავს), რომელსაც სიკეთის საფუძვლად მიაჩნია სარგებლობის პრინციპი. კეთილია ის ქცევა, რომელსაც სარგებლობა მოაქვს ადამიანისათვის.

რაგინდ განსხვავებული არ უნდა იყოს აქ წარმოდგენილი თვალსაზრისები, მათ საერთო საფუძველი აქვთ. ეს არის ის, რომ ისინი ემყარებიან ადამიანის მიდრეკილებებს, ლტოლვებს. ადამიანი ესწრაფვის ბედნიერებას, ცდილობს მოიპოვოს სულის სიმშვიდე და გამოიყენოს ის, რაც მისთვის სასარგებლოა. სამივე პრინციპი ადამიანის ბუნების დაფარულ თუ დაუფარავ სურვილებს ეფუძნება. განსხვავებას ქმნის მხოლოდ ის, თუ კერძოდ რომელ პრინციპს ირჩევენ ისინი ეთიკის საფუძვლად: ევდემონიზმი-ბედნიერებას, ჰედონიზმი-კმაყოფილებას, ხოლო უტილიტარიზმი-სარგებლობას.

კანტი იყო ის ფილოსოფოსი, რომელიც რადიკალურად დაუპირისპირდა ეთიკის ამგვარ დაფუძნებას. გერმანელი მოაზროვნის მიხედვით ეთიკა უნდა ემყარებოდეს ადამიანის არა მიდრეკილებებსა და მისწრაფებებს, არამედ მოვალეობას. მან დასაბამი მისცა სრულიად ახალი ტიპის-მოვალეობის ეთიკას. ამ მოძღვრების მიხედვით ეთიკური მხოლოდ ისეთი ქცევაა, რომელიც სრულდება მორალური კანონის შესაბამისად. რა აიძულებს ადამიანს, როდესაც აღნიშნულ ქმედებას ახორციელებს? არა გრძნობები და მიდრეკილებები, რა გინდ კეთილშობილური არ უნდა იყოს ისინი, არამედ კანონის პატივისცემა. მაგალითად, ადამიანმა დახმარების ხელი გაუწოდა დაჩაგრულს. ზნეობრივია თუ არა მისი ქცევა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გავარკვევთ, თუ რა მოტივით გადადგა მან ეს ნაბიჯი. თუ მან ეს გააკეთა დაჩაგრულის სიყვარულის ან სიბრალულის გამო, მაშინ მისი ქცევა არ არის მორალური. სიყვარული და სიბრალული სუბიექტური გრძნობებია, რომლებიც შეიძლება გქონდეს ერთის, მაგრამ არა მეორის მიმართ. თუ შენ დაჩაგრულს იმიტომ ეხმარები, რომ გიყვარს ან გებრალება იგი, ხომ შეიძლება სხვის (ვთქვათ, მტრის მიმართ) ამგვარი გრძნობები არ გაგიჩნდეს, მაშინ მას არ დაეხმარები. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში შენი ქცევა ვერ შეფასდება როგორც მორალური. ზნეობრივი ქცევა ყველას მიმართ ერთნაირია,

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №6

ლის, კერძოდ, კანტის ეთიკის და მისი კატეგორიული იმპერატივის წინააღმდეგ. იგი თვლის, რომ „სათნოება“, „მოვალეობა“, „სიკეთე“ თავისთავად, რომლებიც ატარებენ უპიროვნო და საყოველთაო ხასიათს, ქიმერებია, რომლებშიც მჟღავნდება ადამიანის დაცემა, სიცოცხლის დაუძლურება. არ არსებობს სიკეთე და მოვალეობა პირადი დაინტერესების გარეშე. მათ პიროვნული და სუბიექტური ხასიათი აქვთ. სიცოცხლის ზრდისა და შერჩევის კანონები გვკარნახობს, რომ ყოველმა ადამიანმა თვითონ უნდა ნახოს თავისი სათნოება და თავისი კატეგორიული იმპერატივი. ხალხს დაღუპვა ემუქრება თუ იგი თავის მოვალეობას ვერ გამიჯნავს მოვალეობისაგან საზოგადოდ. ნიცშემ იდიოტობად მიიჩნია კანტის მცდელობა, რომ გაემართლებინა კატეგორიული იმპერატივის აბსტრაქტულობა და საყოველთაობა.

ნიცშეს ფილოსოფიის ამოსავალია სიცოცხლის პრინციპი. სიცოცხლის თავისებურებაა მისწრაფება ზრდისა და ბატონობისაკენ. იგი არის ძალაუფლების ნება. იმისათვის, რომ სიცოცხლე დამკვიდრდეს და განვითარდეს საჭიროა ძალა და არა სისუსტე. ჯანმრთელობა და არა ავადმყოფობა. აქედან მოდის ძლიერი და ჯანმრთელი ადამიანის კულტი, რომელსაც ნიცშე ქადაგებს. კარგია ყველაფერი, რაც ადამიანში ამაღლებს ძალაუფლების გრძობას, ძალაუფლების ნებას. ცუდია ყველაფერი, რაც მომდინარეობს სისუსტიდან. ბედნიერებაა მზარდი ძალაუფლების, საპირისპირო ქმედების გადალახვის გრძნობა.

ნიცშე სასტიკად აკრიტიკებს ქრისტიანობას, რომელიც სიყვარულისა და თანაგრძნობის რელიგიაა. სუსტებსა და დაჩაგრულებს კი არ უნდა დავეხმაროთ, არამედ მოვსპოთ. ნიცშე წერს: „სუსტები და უიღბლონი უნდა დაიღუპნონ. ეს არის ადამიანისადმი ჩვენი სიყვარულის დებულება“. ქრისტიანული მცნებების წინააღმდეგ მან წამოაყენა შემდეგი მოთხოვნა: „დაცემული ჩაწიხლე“.

გერმანელი მოაზროვნე თვლის, რომ მორალი საზოგადოდ სუსტების მოგონილია. მათ ძალა არ შესწევთ, რომ თავი დაიცვან, ამიტომ ჩამოაყალიბეს მოთხოვნები და შეგონებები, რომლებიც კრძალავენ და ზღუდავენ ძალას, ძალაუფლების ნებას. ძლიერებს მორალი არ სჭირდებათ. ზეკაცი, რომელიც მომავლის ადამიანია, სიკეთისა და ბოროტების მიღმაა.

სიკეთის გაგების წარმოდგენილი თვალსაზრისების მოკლე მიმოხილვა ნათლად გვიჩვენებს, რომ არ არსებობს ამ საკითხის გადაწყვეტის ყველასათვის მისაღები ერთი თეორია. ყოველი მათგანი ცალმხრივია და სიკეთის ერთი რომელიმე მხარის ხაზგასმით ვერ წვდება მის არსს. ჩვენს მიზანს არ შეადგენს ამ უაღრესად რთული ფენომენის ისეთი განსაზღვრა, რომელსაც ყველა გაიზიარებდა. დღემდე ეს ვერავინ მოახერხა და, ცხადია, ჩვენთვისაც მიუწვდომელია. ჩვენ მხოლოდ იმ მომენტებს მივაქცევთ ყურადღებას, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ ზნეობა და პოლიტიკა ერთმანეთს შევადაროთ.

**ვახტანგ ერქომაიშვილი**

# პოლემიკა

# პასუხიც ამას ჰქვია

ჩემს რეპლიკაში —“კვლავ ძველებურად?“ (საქართველო“, №5; 12—18 თებერვალი, 93) საუბარი მქონდა იმის თაობაზე, რომ ფილოსოფიური და საერთოდ თავისუფალი აზრის განვითარებაზე დამთრგუნველად მოქმედებს ადმინისტრაციული, ბიუროკრატიული და იდეოლოგიური ზეწოლა, რასაც ადგილი ჰქონდა ადრე ჩვენში და რაც, სამწუხაროდ, გარკვეულად გრძელდება დღესაც. სანიმუშოდ მოვიყვანე ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის ცხოვრებაში მომხდარი ამბავი. კერძოდ, ამ კათედრაზე მიმდინარე წლის დასაწყისში უნდა ჩატარებულიყო კონკურსი კათედრის გამგის თანამდებობის დასაკავებლად, მაგრამ მოულოდნელად კონკურსის ნაცვლად, სამი პრეტენდენტიდან ერთერთი ბრძანებით დაინიშნა კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებლად.

რეპლიკას ოპერატიულად გამოეხმაურნენ (იხ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარული საბჭოს, ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტისა და ფილოსოფიის კათედრის მიმართვა „საქართველოს“ რედაქციისადმი, „საქართველო“, №6).

ტექნიკური უნივერსიტეტის ეს სამი დიდი დანაყოფი „პასუხში“ სამად სამი წინადადებით შემოიფარგლა. ამასთან დასძინეს: ამ საქმეში ზნეობრივ-იურიდიული თვალსაზრისით ყველაფერი თავის ადგილზეაო. თუ როგორ ეტევა ეს ქმედება „ეთიკურ და იურიდიულ“ ხორმებში, ამას ვხახავთ ამ სამი წინადადების უბრალო განხილვისა და საქმის რეალური ვითარების გაცნობისას.

„პასუხში“ აღნიშნულია: „სინამდვილეში კათედრის გამგის თანამდებობის სამი პრეტენდენტიდან ორი ასაკის გამო არ პასუხობდა საუნივერსიტეტო დებულებას“. რა ასაკზეა აქ ლაპარაკი? ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ორი პრეტენდენტი 70 წელსაა მიტანებული? არა, აქ საუბარია 55 წელზე (სწორედ ამ ასაკისანი არიან უკვე ყოფილი პრეტენდენტები) და თურმე საუნივერსიტეტო დებულებით ამ ასაკს მიღწეულს უფლება არა აქვს მიიღოს კონკურსში მონაწილეობა. კი მაგრამ, თვით ასეთი დებულება რამდენადაა ეთიკური და ნუთუ არ უნდა იქცეს მსჯელობის საგნად? განა 55 წელი რა ისეთი ასაკია, რომ გამოცდილ პედაგოგებს, რომელთაგან ერთი ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორია, ხოლო მეორეს მზად აქვს სადოქტორო დისერტაცია, აეკრძალოთ კონკურსში მონაწილეობის უფლება. ნუთუ ეს ასაკი მხოლოდ ნეკროლოგებში უნდა ჩაითვალოს შემოქმედებითი გაფურჩქვნის ასაკად?

„ამასთან კათედრის ყოფილი გამგე სწორედ ასაკის გამო, თავისი სურვილით გადადგა“, ვკითხულობთ „პასუხში“. ამით ავტორები გარკვეული პარალელის გავლებას ცდილობენ: აქაოდა ყოფილი გამგე ასაკის გამო გადადგა და ისევ ასაკოვან ხალხს ხომ ვერ მივაღებინებდით კონკურსში მონაწილეობასო. მაგრამ რამდენად მართებულია და რამდენად ეთიკური, რომ პარალელი გავავლოთ ამ კონკრეტულ შემთხვევაში 55 წელს ახლად გადაცილებულსა და ღრმად მოხუც პედაგოგებს შორის?

„კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელი გახდა მისი მოადგილე, რომელსაც მხარს უჭერს კათედრის თანამშრომელთა აბსოლუტური უმრავლესობა“, აღნიშნულია „პასუხში“. ჯერ ერთი, ვისაც შევეხმიანე ამ კათედრის თანამშრომელთაგან, ყველამ კატეგორიულად აღნიშნა, რომ ეს პიროვნება არ ყოფილა კათედრის გამგის მოადგილეო.

მეორე: რა „აბსოლუტური უმრავლესობის“ მხარდაჭერაზეა ლაპარაკი, როცა კათედრის თანამშრომლები აცხადებენ, რომ ეს დანიშვნა ისე მოხდა, არაფერი ვიცოდითო.

აქ ცოტა დაწვრილებით. აღნიშნული კათედრის გამგის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდა 1992 წლის 10 დეკემბერს, მიმდინარე წლის 10 იანვარს გავიდა განცხადებების შეტანის ვადა. შეტანილი იქნა სამი განცხადება. 20 იანვარს დანიშნული იყო კათედრის სხდომა, სადაც წესითა და რიგით უნდა ყოფილიყო მსჯელობა არჩევნებზე და ალბათ ასაკობრივ შეზღუდვაზეც იქნებოდა საუბარი (აბა რა აზრი ჰქონდა განცხადებების შეტანას?). მაგრამ დანიშნული კათედრის სხდომა არ შედგა, რასაც პრეცენდენტი არ ჰქონია კათედრის ისტორიაში. მეორე დღეს კი ჰუმანიტარული ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე გამოცხადებული იქნა ბრძანება ფილოსოფიის კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის თაობაზე. ამის შემდეგ კათედრა დგება ფაქტის წინაშე და ასეთ დროს როგორია „აბსოლუტური უმრავლესობის“ მხარდაჭერა, ყველას კარგად მოეხსენება.

როგორც ჩანს, ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ინსტიტუტის მესვეურთათვის საქმის ასე წარმოჩენა ჩვეულებრივი ამბავია. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ არც ჩემი რეპლიკა და არც „პასუხი“ რეპლიკაზე კათედრის მსჯელობის საგანი არ გამხდარა, თუმცა „პასუხში“ ფიგურირებს ფილოსოფიის კათედრაც.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული კათედრის გამგის თანამდებობის დასაკავებლად ციებ-ცხელება ახალი ამბავი არაა და არც ამასთან დაკავშირებული კონკურსის ჩაშლაა პირველი შემთხვევა.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ პიროვნებას, ვინც დაინიშნა ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებლად, პირადად არ ვიცნობ და მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს (ან რა უფლებით?). მაგრამ რა ფორმითაც მოხდა ეს, ამას არა მხოლოდ მე, არამედ სხვებიც არ უნდა შეეგუონ. განა დამაფიქრებელი არაა, რომ, რაღაც სადავო დებულების საფუძველზე კონკურსში მონაწილეობისათვის გზა ეღობებათ გამოცდილ პედაგოგებს, ხოლო საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი და ყველაზე რთული ფილოსოფიის კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებლად ბრძანებით ინიშნება ფილოსოფიური საზოგადოებისათვის უცნობი და ჯერჯერობით არაფრით გამორჩეული პიროვნება.

ჩემი რეპლიკა დაიწერა არა რომელიმე კონკრეტული პიროვნების წინააღმდეგ, არამედ იმ ტენდენციის წინააღმდეგ, რომლის დამკვიდრებაც ჩვენში სიკეთეს არ მოგვიტანს. ამ მიზნით დაიწერა „პასუხის“ პასუხიც.

**მიხეილ მახარაძე**

როსტომ ჩხეიძე

# ვინც არ არის კახაბერი

## (ღია წერილი ჯანსუღ ღვინჯილიას)

დასასრული

თუმცა ლუარსაბ მეორის ძალაუფლება ქვეყნის მხოლოდ ერთ კუთხეში ვრცელდებოდა, მაგრამ ქართლის მეფის ტიტული სიმბოლურად ყოველთვის გულისხმობდა საქართველოს გაერთიანების იდეას. ქართლის მეფე სიმბოლურად მთელი საქართველოს მეთაურს განასახიერებდა და მის წინააღმდეგ ბრძოლა სხვას არაფერს ნიშნავდა, თუ არა ჩაკვლას ეროვნული გაერთიანების იდეისა.

თქვენ კი მეფის განადგურების ირგვლივ ისე მშვიდად და გულგრილად მსჯელობთ, თითქოს სააკაძე ყიზილბაშთა ლაშქარს კი არ შემოძღოლოდეს, ცეკვას ინსტრუქტორი ჩასულიყოს რაიკომის მდივნის შესაცვლელად: აუწევენ ბიუროს წევრები ხელს და უცებ მოგვარდება ყველაფერი... და თითქოს ეს უსჯულოება ყიზილბაშთა შემოსევას არ მოჰყოლოდეს:

„იქ ყოფნის დღეებში სპარსელთა ნამოქმედარს ვერც პირი იტყვის და ვერც ენა აღწერს. გონებით მოისაზრე და გაიგებ თუ რამდენი უტეხი ქრისტიანი მახვილით დაამშვეს, დაჭრეს და დახოცეს, უდანაშაულონი ტყვედ წაასხეს და შეურაცხყვეს, ქონება და სიმდიდრე მიიტაცეს, ნაგებობანი ცეცხლს მისცეს და დაანგრიეს, ეკლესიები დააქციეს, საკურთხევლები და წმინდა ჯვრის გამოსახულებანი დაამსხვრიეს. დატყვევებულნი თავისთან ჰყავდათ ბანაკში და სხვადასხვა სატანჯველით აწამებდნენ: სიცივითა და სიშიშვლით, შიმშილით და წყურვილით და სხვა მრავალი ხერხით" (არაქელ დავრიჟეცი. იგი ამ შემთხვევაშიც იმავეს გვაუწყებს, რასაც ქართული ქრონიკები, ასე რომ, განზრახ გადაჭარბებული — ვითომდა სააკაძის ცოდვების დასამძიმებლად — არაფერია).

ამ ფონზე ცინიზმად და ერის აბუჩად აგდებად აღიქმება თქვენი სიტყვები:

„უნდა ეცადა თუ არა მსგავსი რამ (ლუარსაბისა და პოლიტიკური მტრების განდევნა-განადგურება) მოურავს? ცხადია, „უნდა ეცადა". და კიდევ: „პოლიტიკა მოითხოვდა ასე".

თქვენ, როგორც პუბლიცისტი, აშკარად სანქციას აძლევთ ყიზილბაშთა ამ სისხლიან ექსპედიციას.

ეს როგორ დაგემართათ, ჩემო ბატონო ჯანსუღ!.. რამ წაგაქეზათ სამისოდ... ასეთ კერპად როგორ დაინახეთ სააკაძე, რომ აღარ განსჯით, აღარაფერს უკვირდებით, რას წერთ!..

თუმცა, აბა, რა უნდა გეღონათ: გიორგი სააკაძის უმძიმეს ცოდვათა ჩამორეცხვის ილუზია სხვაგვარად როგორ უნდა შეგექმნათ!..

მკაცრმა სინამდვილემ ეს ილუზიები რომ გააცამტვერა, ცრუმარაფანდების მიღმა მკაფიოდ ვხედავთ პიროვნებას, ვინც — მძვინვარე შურისგებით დაბრმავებულმა — სამშობლო გაწირა.

თავის დროზე კორიოლანუსიც ასე შეუძღვა მტერს მშობლიურ ქალაქში, რათა შური ეძია განდევნისათვის. ამიტომ გრიგოლ აბაშიძემ ერთ ლექსში მართებულად შეადარა გიორგი სააკაძე კორიოლანუსს. თქვენ ასეთი გაიგივება ძალიან ითაკილეთ, მაგრამ რასაც სინამდვილე თვითონვე მეტყველად ღაღადებს, საბურველში აღარასოდეს გაეხვევა — სააკაძის კულტს პარტიული დიქტატი აღარ მფარველობს და ვეღა დაიცავს. სხვათაშორის, კორიოლანუსს ისეთი რბევა-აოხრება არ დაუტეხია თავს მშობლიური ქალაქისათვის, რაც სააკაძის შემოსვლას მოჰყვა ქართლ-კახეთში და ძალაუნებურად წამოატივტივებს მკაცრსა და ტკივილიან სტრიქონებს:

წყევლა და კრულვა მათ
გზას შავგზიანს,
ვინც სამშობლოზე
მახვილგაწვდილმა
მამულს მტრის ურდო
შემოასია
და საქართველოს სისხლი
აწვიმა.
ძვირად დაგვიჯდა ვისი
გაცნობაც,
ვინც დედის საფლავს ხნავდა
სახნელით —
ჯანდაბას მათი დიდი კაცობაც,
ჯანდაბას მათი დიდი
სახელიც!

თავისი თვალით შეჰყურებს გიორგი სააკაძე სამშობლოს აოხრებას: ხოცვა-ჟლეტასა და იმ გრანდიოზულ აყრა-გადასახლებას, რომლის მსგავსიც საქართველოს ისტორიას არ ახსოვდა; და თუკი მანამდე ვერ წარმოედგინა (ყოვლად დაუჯერებელი კია), რა ამბები დატრიალდებოდა და ბრმად მიელტვოდა მეფის დამხობას, ახლა მაინც რატომ არ გამოფხიზლდა და არ შეეცადა ქართლ-კახეთის გადარჩენის გზის გამონახვას?!

წიგნში გაუთავებლად იმეორებთ გაბატონებულ შეხედულებას: სააკაძეს შაჰთან ამ თორმეტი წლის მანძილზე დაძაბული, ფარული დიპლომატიური ბრძოლა ჰქონდა და თავს ერთგულად იმიტომ აჩვენებდა, გადამწყვეტი დარტყმა მიეყენებინაო. იმასაც იმეორებთ: ვალდებული იყო თავი გადაერჩინა და ხელსაყრელ ჟამს დალოდებოდაო...

როდისღა? ვინ დაუდგა თავდებად, რომ ან რომელიმე ბრძოლაში არ დაიღუპებოდა, ანდა ათი წლის შემდეგ შაჰის საიდუმლო ბარათს ჩაიგდებდა ხელში და იძულებული შეიქნებოდა მართლა თავის გადასარჩენად მოეწყო ამბოხება ყიზილბაშთა წინააღმდეგ.

1625 წლის გაზაფხულზე უკვე მეორე მძვინვარე ლაშქრობაში მონაწილეობდა და მთელი კახეთი — კიდევ ერთხელ დაცლილი სისხლისაგან — ისე გადმოიარა ყიზილბაშების მხარდამხარ, აჯანყება არ მოუწყვია. თუ ამბოხების განზრახვა ჰქონდა და ფარულად კიდეც ემზადებოდა, მანამდე აეფრიალებინა დროშა, ვიდრე ლოჭინის ხეობაში იმ ბარათს მოიგდებდა ხელთ. ახლა კარგად დაფაცურდა! შაჰის მზვერავთა მეთვალყურეობის ქვეშ ყოველთვის იქნებოდა, მაგრამ რასაც მანამდე ვერ ახერხებდა, ახლა ხომ მოახერხა — თეიმურაზთან საიდუმლო მოლაპარაკების გაბმა... გვიმტკიცებთ: შაჰმა სააკაძის მოკვდინება იმიტომ მოინდომა, რომ მიწვდა ხმა აჯანყების მზადების შესახებო. ვარაუდად მაინც გამოგეთქვათ, თორემ ასეთი დარწმუნებული კილო („განა ბევრი ფიცი-მტკიცი უნდა იმის გარკვევას...") უხერხულად გაისმის. რანაირად შეიძლება დაბეჯითებით იცოდეთ, ამხელა სახელმწიფოს თვითმპყრობელმა რა რატომ გადაწყვიტა. არადა, ვარაუდს უფრო სხვა მიზეზთან მივყავართ: შაჰ-აბასმა ყოველნაირად გამოიყენა, გამოწურა გიორგი სააკაძე და ახლა თავიდან იცილებს — ესეც რენეგატის ბედის კანონზომიერებაა.

ნურც ის დაგვავიწყდება: ეს უკვე მეორე ლაშქრობაა.

ეროვნული გმირები მსგავს ვითარებაში სხვაგვარად იქცევიან.

შალვა ახალციხელმა 1226 წელს გულში ჩაიკლა უზომო წყენა და ტკივილი, რაც ივანე ათაბაგმა მიაყენა — გარნისის ბრძოლაში მოულოდნელად რომ მიატოვა შალვა და მისი მხედრობა და ხვარაზმელებს ჩაუგდო ხელთ. მან არ ისარგებლა ჯალალედინის მხარდაჭერით, რადგან ათაბაგისათვის (ათაბაგისთვის და არა მეფისთვის!) სამაგიეროს გადასახდელად მტრის ჯარის შემოყვანა აღმოსავლეთ საქართველოს შეიწირავდა. არც იმას დალოდებია, ჯალალედინის ლაშქარი თბილისს როდის მიადგებოდა: წინასწარვე, ვიდრე ხვარაზმელები საქართველოს საზღვრებისაკენ დაიძვროდნენ, შეუთვალა ქართველობას ჯალალედინის ზუსტი მარშრუტი და ის მიდამოებიც განუსაზღვრა, სადაც უნდა ჩასაფრებოდნენ მტერს. მართალია, ფარული მოლაპარაკება გამჟღავნდა და საბედისწეროდ დასრულდა შალვა ახალციხელისათვის, მაგრამ იგი პირნათელი დგას ერისა და ისტორიის წინაშე.

პირნათელი დგას ბაგრატ V-ც, თემურ-ლენგის ხელში ჩავარდნილი (XIV საუკუნის დამლევია): ისიც მტარვალის მხედრობას წინამძღოლობდა საქართველოსკენ, მაგრამ ვიდრე საზღვრებს მოადგებოდნენ, მანამდე შეუთვალა თავის ძეს, რომ ქართული ლაშქარი დათქმულ ადგილას ჩასაფრებოდა მომხვდურთ. განა ბაგრატს არ ეყოლებოდა პირადი მტრები? განა ვინმეს ჯავრი არ ექნებოდა? მაგრამ ვერ დაათრო შურისძიების ჟინმა და მონღოლებს არ დააქცევინა ქართლ-კახეთი.

ერის ინტერესები წამიერადაც არ გაუყიდიათ: ვერც მონღოლთა თუ ხვარაზმელთა კარზე აღზევებამ მოხიბლათ და ვერც მოსალოდნელი სიკვდილის შიშმა შეაკრთოთ.

ეს არის მამულიშვილობა, ეს არის სულიერი გაუბზარაობა, თორემ ასეთივე საიდუმლო ბარათი — ლენინის მიერ, ვქვათ, კიროვთან გაგზავნილი — სერგო ორჯონიკიძეს რომ ეგდო ხელთ 1921 წლის თებერვალში, და ამოეკითხა, უეჭველი სიკვდილი მელისო, განა ის კი არ შეაბრუნებდა ბრძოლის ჩარხს თბილისის მისადგომებთან, იმ ბრძოლისას, რომლის წამოწყებისთვისაც ასე მონდომებით აქეზებდა (ანუ: აზრახებდა) პროლეტარიატის ბელადს? ალბათ მაშინვე გააბამდა კავშირს თბილისის დამცველებთან და ისეთ დღეს დააწევდა მეთერთმეტე არმიას, სულ კუდით ქვას ასროლინებდა. ამას ნამდვილად შეძლებდა — არც სამხედრო გამოცდილება აკლდა, არც რისკი და გაბედულება, არც ორგანიზატორული უნარი, არც შურისგების ჟინი... ამ საქციელის ჩადენით (თუმცა პირადი მოტივით ნაკარნახევით) ორჯონიკიძე ცოტა უკეთეს კაცად შერჩებოდა ჩვენს ისტორიას, ვიდრე დღეს წარმოგვიდგება, მაგრამ ეროვნულ გმირად ვერ იქცეოდა — მის უმძიმეს ცოდვებს ეს ეპიზოდი ვერ გადაწონიდა... და მეტად უხერხული გამოჩნდებოდა იმის მტკიცება, ერის ინტერესები არაერთგზის იმიტომ გაყიდა, ილია ჭავჭავაძის მკვლელობაშიც იმიტომ მონაწილეობდა, რომ გარკვეულ დრომდე რუსეთის იმპერიისათვის თვალი აეხვიაო. პირადი მოტივით ხელმძღვანელობდა დაუდ-ხან უნდილაძეც, თეიმურაზთან ერთად აჯანყება რომ წამოიწყო 1632 წელს ირანის წინააღმდეგ და ბრძოლის შემდგომი გაშლისთვისაც ენერგიულად იღვწოდა. მართალია, ისტორიამ არ დაუკარგა ეს წვლილი, მაგრამ დაუდ-ხანი ეროვნულ გმირად არ ქცეულა.

არც სააკაძისათვის დაუკარგავს არავის, რაც სასახელო ჩაუდენია, და მარტყოფის აჯანყებაც დიდად დაუფასდა. ის კი არა, მიუხედავად აშკარა საეჭვო გარემოებებისა, რაკიღა ყიზილბაშთა ეს ლაშქრობა ასეთნაირად შემოტრიალდა, შემწყნარებლურად ამიტომაც გაიაზრებენ დიდი მოურავის ცხოვრების ამ ეპიზოდს და მეც ამიტომ აღარ ჩავეძიე ჩემს ნარკვევში. არც ის გამომრჩენია, თუ რამ სამხედრო ღვაწლი დასდო ჩვენს ქვეყანას — ეგ არის, ვრცლად არ გამიშლია მსჯელობა, რადგან ეს ყოველივე ისედაც კარგად არის ცნობილი. აუხსნელია, რატომ მაბრალებთ, თითქოს არ გამეხსენებინოს გიორგი სააკაძის ბიოგრაფიის ეს რეალიები. ნუ მაფიქრებინებთ, რომ ჩემი ნარკვევი ალაგ-ალაგ ჩაიკითხეთ. მისი ცხოვრების ეს მხარე — დამსახურებანი საქართველოს წინაშე — რომ არ არსებობდეს, მაშინ იგი ტრაგიკული ფიგურა კი აღარ იქნებოდა, არამედ ყოვლად ზნედაცემული მოღალატე.

მისი ცხოვრების ეს ორივე მხარე რეალობაა და გაორებულ პიროვნებადაც ამიტომ წარმოგვიდგება.

ეროვნული გმირი არ შეიძლება გაორებული იყოს. ეროვნული გმირის სული არასოდეს არ იბზარება. იგი მონოლითური და მთლიანია. მის ქცევასა და მოქმედებაში ყველაფერი ნათელია, ყველაფერი სიწმინდით სუნთქავს და არაფერია საჩხრეკი და განსასჯელი. გმირობა ზნეობრივი მოვლენაა და არაფრისდიდებით არ შეიძლება რაიმეთი იყოს შებღალული.

„ვის შეიძლება შერცხვეს გიორგი სააკაძის გვერდით თავისი სახელის ხსენებისა? ცოტნე დადიანს? ბერ თევდორეს? ლუარსაბ მეორეს ქეთევან წამებულს? დიდება მათ სახელს, მაგრამ თავიანთი ზნეობრივი გმირობით რა გააკეთეს მათ ტაშისკარზე, მარტყოფზე, მარაბდაზე, ქსანზე დიდი?" — გაოცებული აღშფოთებით კითხულობთ ჩემი სიტყვების პასუხად: განა ცოდონი არ არიან ჩვენი ჭეშმარიტი ეროვნული გმირები, ეს რენეგატობის გზაზე შემდგარი კაცი გვერდით რომ დავუტოვოთ-მეთქი.

ნეტა ამ ჩამოთვლისას ლუარსაბ მეორის სახელი მაინც არ წაგცდენოდათ: მოურავის უშუალო მსხვერპლის.

ნუთუ მართლა ვერ გრძნობთ, რომ ეს სრულიად დაშორებული განზომილებანია და ეს თავდადებული გმირნი სააკაძისაგან სწორედ მონოლითურობით, სულის გაუბზარაობით განსხვავდებიან? მათ საქართველოს ინტერესების საზიანო უნებლიედაც არაფერი ჩაუდენიათ. ისინი არიან სიმბოლური ნიმუშნი იმისა, რომ სამშობლოს უნდა შეეწირო, სამშობლო კი არ უნდა შეიწირო.

ოსმალეთში გადახვეწილ სააკაძეს რომ დასცლოდა, კიდევ ერთხელ შესცოდებდა თავის ქვეყანას — კიდევ ერთხელ მოადგებოდა დამპყრობლის ჯარით და კიდევ ერთხელ არ გაუწევდა ანგარიშს, რომ ოსმალები მის პირად მტრებს სხვებისგან სრულებითაც არ გამოარჩევდნენ, მოსპობდნენ და მოაოხრებდნენ, სადამდეც ხელი მიუწვდებოდათ. ნარკვევში ეს აზრი რომ გამოვთქვი — „... ბაზალეთის მარცხი კვლავაც გულს უფატრავდა ისე როგორ ჩასულიყო სამარეში, თეიმურაზ პირველის ჯავრი არ ამოეყარა?" — თქვენ ესეც დეკლარაციულად უარყავით: „არ არის სწორი!" — რატომ ვითომ? მიხეილ სვანიძის ისტორიოგრაფიული ძიებების მიხედვით, სააკაძეს ფართომასშტაბიანი ლაშქრობა განეზრახა საქართველოსკენ და ირანშიც კი გაუბამს ქსელი შაჰის კარზე აღზევებულ ქართველ რენეგატთა დასთან. და, აბა, სხვა რა მიზანი ჰქონდა: საქართველოს გაერთიანება რომ არასოდეს უფიქრია, მისი წინანდელი მოქმედებებიდან თვალნათლივ ჩანს. შურისმაძიებელი რომ იყო და მეფესაც არ ინდობდა, აღარც ეს არის დაფარული. მეფის დასამხობად უცხო ძალის გამოყენებასაც რომ არ ერიდებოდა, ესეც აშკარაა და თვითონ თეიმურაზმაც იწვნია საკუთარ თავზე.

ვიდრე ძალ-ღონე შესწევდა, სააკაძე არაფერს ნანობდა, ოღონდაც შურისგების მრისხანე ჟინი დაეცხრო... ლევან გოთუა მაინც თანაგრძნობითაა განმსჭვალული ამ ტრაგიკული და უბედური კაცისადმი და, სურდა ერწმუნა, ჰალების დილეგში გარდუვალი სიკვდილის პირისპირ მზირველი უთუოდ მოინანიებდაო. რატომღაც მომაწერეთ, თითქოს ლევან გოთუას ვსაყვედურობდე, რომანტიკული ელფერი რატომ შეუნარჩუნა დიდი მოურავის" აღსასრულს-მეთქი, და მეეჭვებოდეს, სააკაძე სიკვდილის წინ რამეს თუ მოინანიებდა. ვითომ მართლა ასეა? — „... ჩვენ მაინც ვიფიქროთ, რომ თავისი განვლილი ცხოვრება აღუძრავდა მწარე ფიქრებს — ამით გამოვხატოთ პატივისცემა იმ ბრძოლებისადმი, რაც საქართველოსათვის გადაუხდია; და ლევან გოთუას კვალობაზე ჩვენც გვეგონოს..." არ ყოფილა ასე. უფრო მეტიც: ეს ფრაზა უშუალოდ რომც არ მეწეროს, ნარკვევის მწუხარე ფონი და ინტონაცია იმის დასტურია, რომ „უგზო ქარავანის" განწყობილებებში ვტრიალებ და ჰალების დილეგში ტკივილიანი განცდით გამოვიხმობ გიორგი სააკაძის ლანდს.

თქვენი მხრივ კი, არამცთუ საყვედურს არ დააჯერეთ, უდიერად წამოჰკარით ხელი ლევან გოთუას სახელს. ლევან გოთუას ხელის წამოკვრა არ დაჰკლებია, არც გვემა-ტანჯვა საბჭოური რეჟიმის დამცველთაგან, მაგრამ ზნეობრივი გმირის გზა ბოლომდე პირნათლად განვლო. ამ სულიერი სიმაღლის კაცმა თვითვე ზედმიწევნით უწყოდა, რა საზომებით განესაჯა ისტორიული მოვლენები თუ პიროვნებანი. ამიტომ უხერხულად გაისმის თქვენი რჩევა-დარიგებანი, თუ რა გადასახედიდან სჯობდა დაენახა ლევან გოთუას მოვლენები.

თუნდ არაფერს ვიტყვი, რომ ასეთი მოთხოვნები მწერლის მიმართ მხოლოდ საბჭოური კრიტიკისთვისაა ნიშანდობლივი. თავისთავადაც აუხსნელია, რატომ ანიჭებთ ასე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბაზალეთის ომის იმ ეპიზოდს, სააკაძემ თეიმურაზს ლახტი რომ დაჰკრა ბეჭზე, დაჭრა, მაგრამ არ განუგმირავს. თქვენ გგონიათ, დაინდო? ბარემ არ დაინდობდა და ფარული შემთხვევა რომ მისცემოდა, ლუარსაბივით მასაც საიქიოს გაგზავნიდა, მაგრამ მეფის ასე ახდილ მკვლელობას არავინ შეარჩენდა: მომხრეებსაც დაკარგავდა და მთელს საგვარეულოსაც გაუჟლეტდნენ. ზნეობრივი თვალსაზრისით აქ საგულისხმო არაფერი მომხდარა, ეგაა, სააკაძე თავის თავს გაუფრთხილდა, ასე რომ, ეს ეპიზოდი „გადასახედად" ვერ განზოგადდება.

აქ რომ შეჩერებულიყავით, კიდევ რა უშავდა. ან ეს რომ დაწერეთ — „სწორედ რომ მიამიტობაა იმის აღნიშვნა, თითქოს ნასყიდაშვილმა (გიორგი სააკაძის ყმამ მოთხრობის მიხედვით) გაშიშვლებული ხმალი კი არ იქნია ბაზალეთში, არამედ ქარქაშიანად იგერიებდა მომხვდურთ, რათა ძმათა სისხლში ხელი არ გასვროდა!... ვინ გაიგონა, გახურებულ ბრძოლაში კაცი ქარქაშიდან ხმალს არ იღებდეს და ქარქაშით იგერიებდეს მოღერებულ სატევარს" — ნეტა მერე მაინც მოგეთოკათ ნერვები... აქ უბრალოდ აგიხსნიდით, რომ მხატვრულ გააზრებებს ასეთნაირად არ განიხილავენ. კრიტიკოსობაზე თავს დებთ, ბატონო ჯანსუღ, და ეს როგორ დაგემართათ, რომ რეალური და იდეალური ერთმანეთში აურიეთ. განა ძნელი შესამ-

დასაწყისი იხ. „საქართველო" №6

ჩნევია, რომ გორგასალი არ არის პირწმინდად რეალისტური ხასიათი? იგი რომანტიკული სახეა, მწერლის იდეალის გამოხატულება და არაფრისდიდებით არ შეიძლება, ძალდატანებით განვძარცვოთ ამ ხიბლისაგან. თუ თქვენებურად აღვიქვამთ, ანუ რომანტიკულ სახეს ვულგარული კრიტიკის ხერხებით განვსჯით, აკაკის ჰაჯი-უსუბიც ვერ მოახდენს სასურველ შთაბეჭდილებას: ვინ გაიგონა, კაცი თავს იკლავდეს, ჩემმა გაზრდილმა ცოდვა რატომ ჩაიდინაო... ვერც ვაჟას მინდია: ვინ გაიგონა, კაცი ხეს არა ჭრიდეს, ცხოველს არა კლავდეს... ამ ორიოდე ნიმუშითაც თქვენთვის ყველაფერი ნათელი შეიქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, ამ „დაკვირვების" გაღრმავებას მოერიდებოდით და მსჯელობაში სრულიად მოულოდნელად არ შემოიტანდით დავით აღმაშენებლის სახელს, თანაც როგორ ბრალდებად: „თქვენ უნებურად დავით აღმაშენებელს აყენებთ შეურაცხყოფას". ცოტა ქვემოთ კიდევ ერთხელ იმეორებთ: „რატომ ვაყენებთ მას (დავით აღმაშენებელს) შეურაცხყოფას?" — ნუგეშად იმასღა გეტყვით ლევან გოთუას და მე, რომ ეს საძრახისი საქციელი უნებლიედ ჩაგვიდენია და არა განზრახ. საბუთად ის მოგაქვთ, რომ ერწუხის ბრძოლაში დავით აღმაშენებელს ქართველებთან მოუხდა შეტაკება და ირონიულად დასძენთ: „გადაეყრება დავით აღმაშენებელი ბრძოლის ველზე თურქებს, გააშიშვლებს ხმალს და ჩეხავს და ჩეხავს და ივსებს უბეს უკუნამდინარე სისხლით, გადაეყრება კახელებს და ჩააგებს ხმალს ქარქაშში და ქარქაშით იგერიებს ნასყიდაშვილის მსგავსად თანამოძმეებს!!?"

რკინის ლოგიკაა!.. ჯერ რანაირად განმარტეთ მოთხრობის გმირის რომანტიკული სახე, მერე კი ისე მოგლიჯეთ „უცხო ქარავანიდან" და მიაკერეთ რეალურ ისტორიულ ბრძოლას, თანაც, სულ სხვა ეპოქას, თითქოს ჩალით დახურულ გარემოში მოქ[illegible]დებდით.

ასეთი სასაცილო ცილისწამება ლევან გოთუას მიმართ — სხვა რომ არაფერი ვთქვა — დაუვიწყარ კურიოზად შერჩება ჩვენს პუბლიცისტიკას.

აქ უცნაური ისიცაა, რომ მსჯელობაში გართულს აღარ გაგახსენდათ, რომ მოთხრობის ეს პასაჟი საერთოდ არ მიხსენებია ჩემს ნარკვევში!.. კიდევ ვიმეორებ: საერთოდ არ მიხსენებია... სამაგიეროდ, განხილული და მოწონებული აქვთ აკაკი ბაქრაძესა და თამაზ ნატროშვილს, ასე რომ, „დავით აღმაშენებლის უნებლიე შეურაცხმყოფელთა" ეპითეტიც მათ ერგებათ თქვენგან.

ფსიქოლოგიურად გასაგებია თქვენს მიერ დიდი მეფის ლანდის გამოხმობა. თქვენ საქართველოს ისტორიაში საგანგებოდ გამოარჩიეთ ეს ორი პიროვნება: დავით აღმაშენებელი და გიორგი სააკაძე, როგორც ეროვნული ენერგიის სიმბოლური სახებანი და განსაკუთრებული ღვაწლის დამდებნი ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად. ამიტომ ვინც სააკაძეს არ ეთაყვანება, თქვენს თვალში აღმაშენებლის ღირსების შემბღალავია.

არადა, სწორედ ეს არის დავით აღმაშენებლის სახელის შეურაცხყოფა, როცა გვერდით უყენებთ კაცს, ვინც სინამდვილეში გაცილებით ახლოს დგას სერგო ორჯონიკიძესთან...

„რა ვქნა, ჩემთვის ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ რობაქიძე უფრო დიდი ავტორიტეტია, ვიდრე სხვა მწერლები", — წერთ და ირწმუნებით, რომ მათ ელვარე სტრიქონებთან და მეტაფორებთან გაჭირდება ლევან გოთუას სახელით ჭიდილი.

გრიგოლ რობაქიძის თაყვანების მიზეზი გიორგი სააკაძისადმი ახსნილი მაქვს ჩემს ნარკვევში — „ნიცშეს „ზეკაცის" გავლენით (რაც ცოტა თავისებურად ესმოდა) გრიგოლ რობაქიძე აღიარებდა ძლიერი პიროვნების კულტს და გიორგი სააკაძის აჩრდილსაც ისევე უმზერდა, როგორც თემურ-ლენგს, ლენინს, ჰიტლერს, მუსოლინის..." — და თუკი ასეთი ახსნა დამაჯერებლად არ გეჩვენებათ, უკეთეს განმარტებას თქვენგან დაველოდები... რობაქიძემ ლენინს რომ უძღვნა დითირამბები „გველის პერანგსა" და გამოსათხოვარ სტატიაში, სააკაძისადმი არ გაუმეტებია, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ლენინის კულტი აღვადგინოთ! ან თემურ-ლენგი თუ სხვანი გავაფეტიშოთ!..

ვითომ ილიაც ასევე ეთაყვანებოდა სააკაძეს? ვითომ გაუბზარავ პიროვნებად წარმოედგინა? „ ... იყო რა უხვად შემკული ყოვლისა სამამაცო და საგმირო ღირსებითა, დღეს აქამომდე არც ავად არის ჩვენს მიერ დაფასებული და არც კარგად... მისი ავკარგიანობით აღსავსე განსაცდელიანი ცხოვრება და საოცარნი მოქმედებანი მისნი, ავად და კარგადაც აღსახსნელნი დიდნი საქმენი, — ჯერ შიგნეულად გამოძიებულნი არ არიან და ელიან პირუთვნელს განმკითხველსა"... როგორც ვხედავთ, ილია სააკაძის გაორებულ მოღვაწეობას არ ფარავს (ავად და კარგადაც აღსახსნელს), გულდაჯერებით იმას აღიარებს, რაც რეალობაა — რომ „მისი მოუსვენარი და მღელვარებისაგან დაუცხრომელი ცხოვრება ერთი დიდი ტრაგედიაა", მაგრამ ეროვნულ გმირად არ გამოუცხადებია: გმირის ცხოვრებაში არამცთუ ის არ შეიძლება, ავი და კეთილი მოქმედებანი ენაცვლებოდეს ერთმანეთს, არამედ იქ ყოველივე ნათელი უნდა იყოს და გამოსაძიებელი არაფერი არ უნდა დარჩეს. ილიას სიტყვები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმასაც, რომ სამი საუკუნის მანძილზე გიორგი სააკაძის პიროვნების ირგვლივ არ დადგენილა ერთიანი აზრი და არც ილიამდე შეურაცხავს იგი ვინმეს ეროვნულ გმირად.

განა ილია ლუარსაბ მეფეზეც ეჭვობდა, იყო თუ არა წმინდანი და წამებული? ის, რაც იმთავითვე მართებულად დაკანონდა, გადასასინჯი არც არასოდეს გამხდარა და ერი და ბერი ლუარსაბის ღვაწლის შეფასებისას ერთსულოვანი იყო.

მართალია, ილია ჭავჭავაძის შეხედულებამ ვერ გაგიმართლათ, მაგრამ იმედად გრჩებათ აკაკი წერეთლის ავტორიტეტი, მითუმეტეს. წიგნში იმასაც აღნიშნავთ, აკაკი აღფრთოვანებული იყო სააკაძის მოღვაწეობითო.

„ვინ იყვნენ ეს მოღალატეები? ქართველისავე შვილები, და მერე რა შვილები?! რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღოდათ ქვეყნის წინაშე და ადრე სამშობლოსათვის თავდადებულნი ყოფილან. — გავიხსენოთ თუნდ გიორგი სააკაძე... შაჰ-აბაზი მხოლოდ იარაღად უნდოდა ეხმარა, მაგრამ მოტყუვდა ანგარიშში და თვითონვე გადააწყდა თავის ხერხს. მის სამშობლო ქვეყანას თათრებმა მუსრი გაავლეს!.. იკბინა ნეკზე, მაგრამ გვიანღა იყო!.."

რა აღფრთოვანებული ჩანს! ან იქნებ ამ სიტყვებს უთვლით სააკაძის თაყვანისცემად: „გასაოცარ საქმეებს ჩადიოდა, მაგრამ ველარ გაასწორა ერთხელ გაუკუღმართებული გზა! უკეთესმა მამულიშვილმა დაიღუპა თავი და დაღუპა ქვეყანა... კეთილმა განზრახვამ და იმდენმა ღვაწლმა ამაოდ ჩაუარა! დღეს ითვალისწინებ ამ უბედურ გმირს და აღარ იცი, რა ქმნა: დალოცო, თუ დაწყევლო? აკურთხო, თუ შეაჩვენო? თაყვანი სცე, თუ ზურგი უჩვენო?"

თქვენი მტკიცებით: გიორგი სააკაძემ იმპერია დაამხო.

აკაკი წერეთლის მოწმობით: საქართველო დაუღუპავს.

ასე თავდაჯერებით რომ იმოწმებდით აკაკის, ნუთუ მის წერილში „შავი ფიქრები" არც ჩაგიხედავთ? უფრო მკაცრად და პირდაპირ როგორღა უნდა ეთქვა: მოღალატე უწოდა, ქვეყნის დამღუპველიც, თუ რამ ღვაწლი ჩაედინა, ამაოდ ჩავლილად შეუფასა.. ან იქნებ ის გგონიათ, რომ ილიასა და აკაკის დღეს აღარავინ კითხულობს და იოლად გენდობიან?.. აშკარად გამოჩნდა, რომ ლევან გოთუას არაფერი ჰქონია „საჭიდაო" ილიასა და აკაკის შეხედულებებთან [illegible] სააკაძის შეფასებისას მათ ტრადიციას მიჰყვება, აი, თქვენ კი მართლა გაგიჭირდებათ მათთან ანტონოვსკაიას და ჩორნის სახელებით ჭიდილი...

მაგრამ კიდევ ჩავყვეთ აკაკის მსჯელობას, სადაც იგი სააკაძის მოღალატურ საქციელს „ყიზილბაშური მედიდურობით" (შური, ჯიბრი, ბრაზი) ხსნის და მიიჩნევს, ქრისტიანული მიმტევებლობა რომ გამოეჩინა, მოთმინებით აეტანა უსამართლო დევნა, თავიც დაედო და ცოლ-შვილიც გაეწირა, უკეთესი იქნებოდაო: „ქვეყანას არა დაუშავდებოდა-რა, თვითონაც პირადათ სამაგალითო იქნებოდა ჩამომავლობისათვის და წმიდათა თანა შერიცხული. მაგრამ ეს ვერ მოახერხა და წაიწყმიდა სახსენებელი!.."

თქვენი ნებართვით ამ ბოლო გამოთქმას კიდევ ერთხელ გავიმეორებ: „წაიწყმიდა სახსენებელი!".

ეს ფრაზა — და საერთოდ, აკაკისეული შეფასება — ისტორიის განაჩენად ჟღერს.

ალბათ აკაკიზე მაინც ველარ იტყვით, ქართველი ხალხი შეურაცხყოო, ანდა ასეთი „მოწამლული აზრები" უცოდინარობის ბრალია, მან არ იცის XVII საუკუნის საქართველოს ისტორიაო. არადა, მე უშუალოდ ამ შეფასებას ვეყრდნობოდი, როცა დავწერე: „მაგრამ ის მეორე, სავალალო მხარე მისი მოღვაწეობისა არ აძლევდათ საშუალებას, „დიდი მოურავის ცხოვრება სამაგალითოდ დაესახათ".

თქვენ ამ მოსაზრების უარსაყოფად არჩილ მეფის „გაბაასებიდან" მოიხმეთ ის სტრიქონები, სადაც დიდად არიან შექებულნი — გიორგი სააკაძე და ზურაბ არაგვის-ერისთავი, მარტყოფის აჯანყების გულისთვის ერთს შვილის გაწირვა რომ მოუხდა და მეორეს — ცოლისა. კი მაგრამ, მე ხომ იმას არ ვამტკიცებ, თითქოს სააკაძეს ქვეყნისთვის სასიკეთო გმირული საქციელი არაფერი ჩაედინოს... ხოლო არჩილის სიტყვები მისი ცხოვრების ერთ ეპიზოდს ეხება, ასევე კიდევ რამდენიმე ეპიზოდი შეიძლება შეფასდეს, მაგრამ არაფრისდიდებით — მთელი ცხოვრება, საამისოდ არჩილის სიტყვები ვერ განზოგადდება. ასე რომ იყოს, მაშ ზურაბ ერისთავის ცხოვრებაც სამაგალითო ყოფილა: პოემის ამ სტროფში სააკაძე და არაგვის ერისთავი ხომ ერთმანეთთანაა გათანაბრებული. ზურაბიც არის მარაბდისა და მარტყოფის გმირი; ხოლო, სააკაძისაგან განსხვავებით, ხალხურ პოეზიაშიც სახიერად შემორჩა მისი ტრაგიკული ბედი და არც მტრის ლაშქარს შემოძღოლია საქართველოში. მაგრამ მისი მხედრული მოღვაწეობა მაინც არ არის ეროვნული გმირის ცხოვრების გზა: სვიმონ მეფის სისხლში ხელის გასვრა და მთის თავისუფალი თემების დამორჩილების წადილი (რაც ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას წარმოადგენდა) ისეთი ცოდვებია, რასაც ვერაფერი გამოისყიდის.

არ განზოგადდება არც ვაჟა-ფშაველას ის ლექსი, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებთ, საპოლემიკო წერილშიც მთლიანად იმოწმებთ და წიგნშიც მთელს გვერდებს უძღვნით მის განხილვას, მაგრამ ლექსი „გიორგი სააკაძის სურათზე" გაცილებით უფრო პროფესიულ ანალიზს მოითხოვს. სააკაძის სახელი აქ ალეგორიულ ხერხადაა გამოყენებული და ისტორიული სურათის აღდგენაზე მეტად თანადროული მოღვაწის ბედია დატირებული: ილიასიც, სხვებისაც, საკუთარიც... „თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ, კარგი შვილები რად გვებადება" ანდა „ცრემლები მაღრჩობს, ველარას ვამბობ, კარგის დაღუპვა რად გვენატრება..."

— თვალწინ აღმართული სინამდვილის განცდაა, და თუკი ამ განცდამ სააკაძის ლანდი გამოიხმო, ეს სრულებითაც არ ნიშნავს მთელი მისი ცხოვრების გზის მოწონებას.

„უსამართლო დევნაო", აკაკისაც ხომ ასევე მიაჩნდა, მაგრამ სააკაძის მოღვაწეობაზე რა აზრისაც იყო, აგერ თვალნათლივ გამოჩნდა. ამ გარემოებას ილიაც საგანგებოდ აღნიშნავდა, მაგრამ ამის გამო დიდი მოურავისათვის ავი საქმენი არ ჩამოურეცხავს. ერთს, თუნდ რამდენიმე, ეპიზოდს ისეთი სასწაულმოქმედი ძალა არ გააჩნია, ერის წინაშე ჩადენილი უმძიმესი ცოდვები გადასწონოს.

ბოლოსდაბოლოს, გამორჩეულ პიროვნებათა ხვედრი ოდითგანვე ეს ყოფილა: ათვალწუნება, დევნა, შევიწროება, და გმირიც ის არის, ვინც ღირსეულად გამოაღწევს უმძიმეს ლაბირინთებს. განა ილია ჭავჭავაძემ ნაკლები დევნა გამოიწვია თავისი მოღვაწეობით? მისი დევნა ულმობლობის გარდა ხანგრძლივიც გამოდგა: მთელი ცხოვრება ჯვარზე იყო გაკრული, მთელი ცხოვრება დამიზნებული თოფის ქვეშ იდგა და თვით მაშინაც, როცა უმძაგესი ვნებები უკიდურესობამდე გამწვავდა, არ შემდრკალა და მოწამებრივ სიკვდილს შეეგება. რუსეთში კი არ გაქცეულა, რათა იქიდან ჯარს გამოძღოლოდა და რისხვად დატყდომოდა საქართველოს. მერე ბევრიც ემტკიცებინათ, ჯარი ქვეყნის ასაოხრებლად კი არა, პირადი მტრის ასალაგმად შემოიყვანაო, განა კვლავაც ეროვნულ გმირად შერჩებოდა ხალხის ხსოვნას?

ხალხის ხსოვნას გიორგი სააკაძე გმირად რომ შერჩენოდა, მასზე სიცოცხლეშივე შეიქმნებოდა დიდებული პოეტური ნიმუშები: ამის არავითარი კვალი არ ჩანს. რამდენიმე სუსტი ლექსი შეითხზა ფურცელაძის წიგნის გავლენით, ხოლო საბჭოურ ეპოქაში დაკვეთით „შეიქმნა" ლექსების ციკლი... ცდილობთ დაგვარწმუნოთ, რომ „დიდი მოურავი" მას ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე უწოდა, და იოსებ სააკაძემ მხოლოდ არსებული ზედწოდება აიღო თავისი პოემისათვის, მაგრამ საიდან ჩანს, თითქოს ხალხმა უწოდა სააკაძეს „დიდი"? ქართულ და უცხოურ წყაროებში იგი ყველგან მოხსენიებულია როგორც „მოურავი". იოსებ სააკაძის პანეგირიკული პოემა ამ მხრივ განკერძოებულად დგას, ამიტომ ეს ეპითეტი მოგვარე პოეტის გამონაგონად წარმოგვიდგება და არა „არსებულ ზედწოდებად"... მოგვიანებით ანტონ ფურცელაძემ აალორძინა ეს სიტყვათშეთანხმება და მერე ხომ საბოლოოდ დამკვიდრდა, როგორც კლიშე. მეც გაქვავებულ გამოთქმად ვიყენებ: ამით პატივისცემას არა, მაგრამ თანაგრძნობას გამოვხატავ სააკაძის უკუღმართი ბედისადმი...

ხალხს რატომ მიაწერთ თქვენს სურვილებს? საბჭოური ეპოქის საქართველოში აგიტაციით ჩანერგილ სააკაძის კულტს მე-17, მე-18 და მე-19 საუკუნის ქართველებზე რატომ ავრცელებთ, იმ ქართველებზე, რომელთა რწმენითაც გიორგი სააკაძემ სახსენებელი წაიწყმიდა? ეს საყოველთაო აღქმა სააკაძის ფენომენისა კვლავაც თვალნათლივ დაბრუნდება, რადგან ხალხის ცნობიერება საბოლოოდ თავისუფლდება საბჭოური აზროვნებისაგან.

ნურარც ხელისუფლების იმედი გექნებათ. ის ამხელა კერპებს გამოეთხოვა — მარქსს, ენგელსს, ლენინს; და მით უფრო არ გაუჭირდება ამ მომცრო კერპთან გამოთხოვება.

გიორგი სააკაძის ძეგლების დადგმაც საბჭოური პროპაგანდის ნაწილი იყო, მაგრამ თუმც კერპი ჩვენს თვალწინ იმსხვრევა, მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი ძეგლი, როგორც ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში, არაფრისდიდებით არ არის გასამეტებელი. ეს ქანდაკება, ბუნებრივია, თქვენც მოგწონთ, მაგრამ ზადი მაინც უპოვეთ — პროპორციებია დარღვეული, მოქანდაკეს ყურადღება გადააქვს თავისი გმირის ძლიერ ფიზიკურ ენერგიაზე, მთავარსარდლის შემართებაზე და თავი ოდნავ პატარააო. თქვენ მაინც რამხელა გაგეხარდებოდათ!.. სადაც სამართალია, მოქანდაკეს ცოტა უკეთ მაინც ეცოდინება, რა როგორ სჯობს ძეგლისთვის, მაგრამ ფსიქოლოგიურად ადვილი გასაგებია თქვენი წყრომის მიზეზი — ყველას წააჭარბოთ სააკაძის სიყვარულში. ალბათ მოურავის თავის სასურველი პარამეტრებიც დაზუსტებული გექნებათ და თქვენს წარმოსახვაში უფრო სრულყოფილ ქანდაკებას შეჰყურებთ.

გიორგი სააკაძეს ყოველთვის ეყოლება საქართველოში თავისი მაქებრები — არა მხოლოდ მედროვენი და რენეგატები, არამედ ისინიც, ვისაც ხიბლავთ ძლიერი პიროვნება. მათთვის დიდი მოურავი მაგალითად დარჩება... მართალია მისი მღელვარე და ტრაგიკული ცხოვრება მუდამაც აღძრავს მწერალთა თუ მკვლევართა ინტერესს, მაგრამ გიორგი სააკაძის კულტი ვეღარასოდეს მოიკიდებს ფეხს ქართულ ერცნობიერებაში: ის, რაც საბჭოური იდეოლოგიის ნაწილი იყო, მასვე გადაჰყვება... მეხოტბენი ამ რეალობას უნდა შეეგუოთ და როცა დითირამბებს აღავლენთ, მის სახელს საქართველოსთან მაინც ნულა გააიგივებთ.

დავშთები მარად. და სხვა და სხვა...

## გახსენება

### ლევან დარჩია



ერთი წელია, გვაკლიხარ და გვენატრები. ერთი წელია, ვერ ვიჯერებთ, რომ აღარ გვყავხარ...

საშინელება ყოფილა შენზე წერა რაღაც განსაკუთრებული გვინდა, გითხრათ, ისეთი თბილი, ისეთი სხვანაირი, შენ რომ იყავი. წყანაღებული რომ ხავს ეჭიდება, ისე ვართ, ასე გვგონია, თორემ თავზარს გვცეს იმაზე ფიქრი, რომ შენს გახსენებას ვწერთ ახლა. გახსენება-თითქოს ყველასი ერთნაირია ხოლმე და შენ რომ არავის არ ჰგავდი...

„დრო ყველაფრის მკურნალიაო", არ ყოფილა ასე. მონატრებას რა უშველის ... ყველაფერს წარმოვიდგენდით, მაგრამ შენ თუ ასე იოლად გაგიმეტებდა ვინმე ამქვეყნად, ამას კი ვერასოდეს...

ცხრამეტის ვიყავით მაშინ, ხაოცარი სისწრაფით გავიდა ეს ერთი წელი. რაღაც გვაშინებს კიდეც, ასაკით რომ გშორდებით... მაგრამ ალბათ, რამდენი ხანიც არ უნდა გავიდეს, შენზე ფიქრისას თითოეულ ჩვენგანს ისევ ცხრამეტი წლისა ეგონება საკუთარი თავი...

ინტერვიუ

# მერაბ ბერიძე:

# ჯავახეთის პრობლემა ცალკე არ არსებობს

. მიხეილ ჯავახიშვილი წერდა: „ძველი მესხეთი და მისი შუაგული სამცხე ოდესღაც გურჯების ბუდედ ითვლებოდა. აქ გამოიგონეს მოსოკებმა და თუბალებმა რკინა და ბრინჯაო. აქედან წამოვიდა საქართველოც და განათლების პირველი უმძლავრესი ნაკადიც. აქაურმა მიწა-წყალმა გამოზარდა დიდი ხუროები და მხედრები, წმინდანები და პოეტები, უკვდავი შოთა და მერჩულე, ხანძთელი და გოდერძი, ჩორჩანელები და ზარზმელები, თორნიკე ერისთავი და სარგის თმოგველი, ჯაყელები და თორელები."

თავიდანვე ტრაგიკული ბედი დაჰყვა ჩვენი ქვეყნის ცივილიზაციის ამ კერას. ჟამთა ავად ცვლამ მრავალ ქარტეხილში გამოატარა. „აქ იდო ქართლის ყელზე მობჯენილი ბიზანტიის დროშა" — „ოსმალების ნამგალა მთვარე"; ბოლოს ორთავიანი არწივის მზერაც არ ასცდა. ყოველი დამპყრობელი თავის კანონსა და წესს ამკვიდრებდა, ქართული სულის დათრგუნვას ცდილობდა. მაგრამ ერის თვითშენახვის ფარულმა ინსტინქტმა შეძლო ეროვნული ცნობიერების გადარჩენა. ამ დიდ საქმეში ყოველ დროს უპირველესი მნიშვნელობა ენიჭებოდა განათლებას, ქვეყნის მომავლის ზნის გაწვრთნას. ეს რთული მისია უკისრია ახალციხის უნივერსიტეტსაც, რომლის დღევანდელ პრობლემებზე, მის სამომავლო მიზნებზე რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ უნივერსიტეტის რექტორს ბატონ მერაბ ბერიძეს.

—ბატონო მერაბ, რა პირობებში ჩაეყარა საფუძველი ახალციხის უნივერსიტეტს?

—ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი გაიხსნა 1990 წლის გაზაფხულზე ასკაციანი კონტინგენტითა და სამი — ისტორიის, ფილოლოგიისა და ეკონომიკის ფაკულტეტით. შემდეგ რეგიონის პირობების გათვალისწინებით დავუმატეთ მათემატიკა-ასტრონომიისა და დაწყებითი სწავლების მეთოდიკისა და პედაგოგიკის სპეციალობები.

უაღრესად რთულ პირობებში უხდებოდა ფილიალს ცხოვრება. ამ სამი წლის განმავლობაში უკვე განათლების მე-6 მინისტრი გვყავს, მაგრამ 100კაციან კონტინგენტს ვერ გადავაბიჯეთ. 1992 წელს რომ არ გახსნილიყო ფილიალთან კერძო სექტორი, ეკონომიკური პირობები დაგვასრჩობდა და ვერ შევინარჩუნებდით პედაგოგებს.

—ბატონო მერაბ, რას გვეტყოდით იმ პროფესორ-მასწავლებელთა შესახებ, რომლებიც ქმნიან ახალციხის უნივერსიტეტის სახეს. რა პირობებში უხდებათ მათ მუშაობა, ცხოვრება?

—ამ სამი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა ჩვენი ცხოვრების გარკვეული წესი. კვირაში ორჯერ, კვირასა და ოთხშაბათს, თბილისის უნივერსიტეტის პირველი კორპუსიდან გადის ფილიალის ავტობუსი, რომელსაც პედაგოგები მიჰყავს ახალციხეში. გზა გრძელია, მძიმე, მაგრამ ერთად ყოფნით ბევრი სიძნელის გადატანა შეიძლება. ჩვენს ავტობუსს ტრასაზე ყველა ცნობს: ინსპექციაც, ავისმქმნელიც და მოკეთეც. ყველაზე რთულ დროსაც, როდესაც ალარსად არცერთი მანქანა არ დადიოდა, ჩვენი ავტობუსი გაუყვებოდა ხოლმე გზას, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ლექციები არ ცდებოდა.

ყველა პედაგოგი, რომელიც ჩვენთან დადის, პროფესიონალია. ვინმეს გამოყოფა მეუხერხულება. ბევრმა ვერ გაუძლო პირობებს, მათიც მადლობელნი ვართ. თუნდაც ერთი წელი, ერთი სემესტრიც, ზოგ შემთხვევაში ინტენსიური ლექციები ახალციხის ფილიალისთვის ბევრს ნიშნავს. ჩვენი ახალგაზრდობა სწავლობს მიზნობრივ ასპირანტურაში. ორ-სამ წელიწადში ძირითად საგნებში საკუთარი კადრი გვეყოლება, მაგრამ ახალციხე თბილისის უნივერსიტეტთან ინტენსიურ კავშირს არასოდეს გაწყვეტს. პედაგოგთათვის პირობები უკეთესი რომ იყოს, კარგია, მაგრამ რაც გვაქვს, ასეთია. სტუდენტური ცხოვრებით ვცხოვრობთ საერთო საცხოვრებელში, ვიდრე არ წავგართმევენ მას. (მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გავარემონტეთ, ვულით... არ მოხერხდა საერთო საცხოვრებლის ფილიალის ბალანსზე გადმოსვლა). ეს ცხოვრების ერთი მხარეა, მეორეა ურთიერთობა სტუდენტებთან. აქ, ვფიქრობ, ძირითადად ყველაფერი რიგზეა. გვყავს კარგი ახალგაზრდობა, თავიანთი სერიოზული, ზოგ შემთხვევაში გადაულახავი პრობლემებითა და ინტერესებით. ასეთ შემთხვევაში პედაგოგისათვის არსებობს იდეალური პირობები. არის აუდიტორია, რომელსაც აინტერესებს ლექცია, დანარჩენი პროფესიონალიზმის საქმეა. ზოგჯერ არის წინააღმდეგობები, მაგრამ დაიძლევა ხოლმე. ერთი თავისებურება ახასიათებს ახალგახსნილ უმაღლეს სასწავლებელს — სტუდენტი და პედაგოგი ერთად ქმნიან უნივერსიტეტის სახეს. დაწყნარებულ ქვეყანაში კარგია ასეთი დასაწყისი, ბევრად რთულია ჩვენს პირობებში.

—მასწავლებლის თქვენეული იდეალი?

—მაღალი პროფესიონალიზმი და თვით შეწირვა. ჩვენი დიდი მასწავლებლები შეეწირნენ თავიანთ საქმეს.

—ბატონო მერაბ, არსებობს მასწავლებელი — დიქტატორი და მასწავლებელი — სტუდენტის სულზე მზრუნველი. თქვენ რომელ კატეგორიას მიაკუთვნებდით თავს?

—მე არა ვარ მასწავლებელი, მე ადმინისტრატორი ვარ.

—რა როლი შეიძლება შეასრულოს ახალციხის უნივერსიტეტმა ამ კუთხის ისტორიის, ეთნოგრაფიის, დიალექტების შესწავლის საქმეში?

—ვფიქრობ, რომ გადამწყვეტი. ყველა კათედრა, რომელიც ჩვენთან ჩამოყალიბდება და ამუშავდება მთელი ძალით, თავის სამეცნიერო თემატიკაში შეიტანს სამხრეთისათვის აუცილებელ პრობლემებს. უკვე გამოვეცით რამდენიმე წიგნაკი. საქართველოს ისტორიის კათედრა ამზადებს გამოცემებს ისტორიულ ძეგლთა შესახებ. შეგროვილია საკმაო ეთნოგრაფიული მასალა. ქართული ენის კათედრა სწავლობს დიალექტებს. მესხეთში ენათმეცნიერმა მესხურის გარდა შეიძლება შეისწავლოს იმერული, მთიულური, რაჭული, აჭარული დიალექტები, მათი ურთიერთგავლენები. ეს უნიკალური შემთხვევაა.

—როგორია დამოკიდებულება რაიონის ადმინისტრაციასა და უნივერსიტეტს შორის?

—ახალციხეში ადმინისტრაცია ჯერჯერობით ნომინალურად არსებობს. მას სერიოზული ძალა გაჩნია საერთო გაჭირვების ფონზე. ახალციხეში ყველას ერთნაირად უჭირს. ბუნებრივია, რომ ახალციხისათვის ათასი სტუდენტი ბევრ პრობლემას შექმნის. ზოგს უკვირს მომრავლებული პრობლემები, ჩვენ და რაიონმა ერთად უნდა დავძლიოთ ყველა წინააღმდეგობა. ერთსულოვნება თუ იქნება, ყველაფერს ეშველება.

·— რა სიძნელეების წინაშე დგას ახალციხის უნივერსიტეტი დღეს?

— ბევრი სიძნელის წინაშე ვდგავართ. უპირველესი სიძნელე არის ის, რომ სტუდენტებისათვის არ გვაქვს საერთო საცხოვრებელი. დაქირავებული ბინის ფასმა უკიდურესად აიწია. ახალი კარგა ხანს რომ არ აშენდება ახალციხეში, ჩვენ ძალიან კარგად ვხედავთ, მაგრამ ვერ აგვიხსნია, რატომ არ შეიძლება გადაეცეს სტუდენტობას ისეთი საერთო საცხოვრებლები, რომელნიც უპატრონობით ნადგურდება. უსახსრო სტუდენტმა შეიძლება ბევრი ისეთი რამ ჩაიდინოს, რაც ცუდად მოუბრუნდება რაიონს. ასევე საჭიროა ბინების გამოყოფა პედაგოგთათვის. როდესაც ჩვენ ახალციხეში მივდიოდით, ვიცოდით, სადაც მივდიოდით. მე შეგნებულად არ ვამახვილებ ყურადღებას მჟღერალა ფრაზებზე, მაგრამ საუნივერსიტეტო ცხოვრების საბოლოოდ სტუდეტებთან ერთად სამეცნიერო საქმიანობაც შექმნის. საჭიროა პედაგოგთა დამაგრება, ახალგაზრდობის დამაგრება, ელემენტარული საბინაო პირობების შექმნა.

ახალციხიდან წავიდა რუსეთის სამხედრო ნაწილი. გათავისუფლდა ბევრი ბინა, როდესაც რამდენიმე ჩვენც მოვითხოვეთ, კატეგორიული უარი მივიღეთ. არ მინდა ვინმემ ნათქვამი წუწუნად, დაჩივლება და გაიგოს. უბრალოდ, უკეთეს პირობებში უკეთესად გაკეთდება საქმე.

გვიჭირს კადრების მოზიდვა. მინდა ვთხოვო, განსაკუთრებით სამხრეთიდან წამოსულთ, ვისაც ცოდნა და გამოცდილებაც გამოადგება მათსავე მამულს, ამოგვიდგნენ მხარში, ჩამოვიდნენ, თან ლექციები წაიკითხონ და თან ბავშვობა გაიხსენონ.

გვიჭირს ლიტერატურა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ბიბლიოთეკა შემოწირულობებით არსებობს და 50 ათას წიგნს ითვლის, სპეციალური ლიტერატურა მაინც გვაკლია. კიდევ ბევრი სიძნელეა, მაგრამ ...

— ბატონო მერაბ, სამომავლოდ რა სიახლეებია გათვალისწინებული უნივერსიტეტის ცხოვრებაში; ფიქრობთ თუ არა ახალი ფაკულტეტის გახსნას?

— ახალციხის ფილიალი არ ავიწროებს პოზიციების დათმობას. იგი უკვე ჩაერთო თბილისის უნივერსიტეტისა და მესხეთის ცხოვრებაში, ამიტომ აქვს საკუთარი მიზანი და გეგმები.

ახლო მომავალში გაიხსნება საბაჟო თურქეთთან. ახალციხე კვლავ შემოდის საქართველოს ცხოვრებაში თავისი ისტორიული ფუნქციით. იგი დიდ გზაჯვარედინზე დგას. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორი შეხვდება მესხეთის დედაქალაქი თავის ტრადიციულ მისიას ახალ ამპლუაში — პროვინციულ მტვრიან ქალაქად თუ სტუდენტურ, საუნივერსიტეტო ქალაქად. ამისოდ საჭიროა, დაიგეგმოს საუკუნის ბოლოსთვის უნივერსიტეტის კომპლექსი ათი ათას სტუდენტზე. ეს ბევრ რამეს გადაწყვეტს საბოლოო ჯამში. ეს პერსპექტივაა.

დღეისთვის კი ვფიქრობთ რამდენიმე სპეციალობის შემოღებას. ყველა სიახლე მხოლოდ სამხრეთ საქართველოს ინტერესებიდან იქნება გამომდინარე.

— ბატონო მერაბ, ჯავახეთის პრობლემის მოგვარებას შეუწყობს თუ არა ხელს ახალციხის უნივერსიტეტი?

— „ჯავახეთის პრობლემა" მეორე საუკუნეში შეიქმნა. ბევრ ორგანიზაციას აქვს დღეს ჯავახეთის პრობლემის მოგვარების პრეტენზია. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში კერძო ინიციატივამდე დაიყვანება რესპუბლიკის სამხრეთთან დამოკიდებულების საკითხი. ამას კი გარკვეულ კარიერისტულ თუ სხვაგვარ ზრახვებამდე მივყავართ. სერიოზული ეკონომიკური და პოლიტიკური პროგრამა, რომელიც შემუშავდება კომპეტენტურად და შესრულდება, ხაზს ვუსვამ, შესრულდება! სასიკეთო რელსებზე შეაყენებს მესხეთს, რომლის შემადგენლობაში ყოველთვის იგულისხმება ჯავახეთი. თუ ახალციხის ფილიალს შეუძლია, სერიოზული როლი ითამაშოს სამხრეთის თანამედროვე პროცესებში ჩაბმაში. უნდა შეკრწყას „სულიერი და ხორციელი კეთილი." ალბათ ღირს გასახსენებლად, რომ „ჩვენი ცხოვრება აქედან დაწყებულა".

ასე რომ, „ჯავახეთის პრობლემა" ცალკე არ არსებობს. იგი არსებობს მესხეთის პრობლემის სახით ე.ი. საერთო ქართული პრობლემის სახით.

ესაუბრა

**რუსუდან კილაძე**

---




ჟურნალ „ცისკრის" რედაქციამ საქართველოს რესპუბლიკის საგამომცემლო-საწარმოო ფირმა „დავითთან" ერთად დასტამბა საკმაოდ სოლიდური მოცულობის ილუსტრირებული წიგნი „აფხაზეთის სისხლიანი ქრონიკები".

წიგნს უძღვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II დალოცვა; „ღმერთმა დალოცოს და აცხონოს აფხაზეთს მამულისათვის შეწირულთა სულნი. „მხოლოდ ცხოველს-მყოფელო უფალო, უფსკრულო სახიერებისაო, სულნი მიცვალებულთანი სასუფეველსა შენსა დაწერენ და განსხვავებით მიჰმადლე მათ, მხსნელო"

ეს წიგნი ყველამ უნდა წაიკითხოს, — წერს ამ კრებულის წინასიტყვაობაში გურამ ფანჯიკიძე, — ვისაც ოდნავ მაინც აღელვებს საქართველოს ბედი. უფრო მეტიც, აუცილებელია იგი უცხო ენებზეც ითარგმნოს, რათა მსოფლიომ გაიგოს, რა ხდება აფხაზეთში, რატომ და რისთვის ებრძვიან ისინი ქართველებს. რატომ და ვინ აქეზებს მათ ამ უსამართლო, ძმათამკვლელი ომისაკენ, რატომ, ვინ და როგორ ეხმარება მათ, ჩამოაშორონ საქართველოს თავისი ისტორიული კუთხე.

ამ კრებულში შეხვდებით მურმან ლებანიძის, ტარიელ ჭანტურიას, შოთა ნიშნიანიძის, ბალათერ არაბულის, გენო კალანდიას აფხაზეთისადმი მიძღვნილ ლექსებს.

აქვე გაეცნობით ჩვენი ცნობილი მეცნიერებისა და მწერლების: აკაკი ბაქრაძის, ნოდარ ლომაურის, გურამ ფანჯიკიძის, ზაქარია ჭიჭინაძის, ოთარ ჭილაძის, მარიამ ლორთქიფანიძის, ჭაბუა ამირეჯიბის, როსტომ ჩხეიძის, ჯანო ჯანელიძის, ნოდარ გრიგალაშვილის, თამაზ წივწივაძის, კიტა ბუაჩიძის, ჯანსულ ჩარკვიანის, თამაზ ჩხენკელის, კობა იმედაშვილის, ზაურ კალანდიას და სხვათა და სხვათა პრობლემატურ წერილებს აფხაზეთის შესახებ.

წიგნში იბეჭდება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გაზეთ „აფხაზეთის ხმაში" დაბეჭდილი მიმართვა — „მამაშვილური სიყვარულით მივმართავ ყველას: ნუ ჩაიდენთ ისეთ „დანაშაულს, რომლისაც მერე შეგრცხვებათ!"

აქვე გაეცნობით ედუარდ შევარდნაძის 1992 წლის 7 სექტემბრის რადიოინტერვიუსა და თამაზ ნადარეიშვილის გაზეთ „დრონში" დაბეჭდილ ინტერვიუს.

წიგნის შემდგენლები არიან მწერლები ზაურ კალანდია და ვაჟა ჩორდელი, რედაქტორია ელზა მეტრეველი. მადლობა მათ ამ კეთილი საქმისათვის, ამ ჩინებული წიგნის მომზადებისათვის.

---

**საქართველოს სახალხო ფრონტის**

**განცხადება**

საქართველოს სახალხო ფრონტის III ყრილობა, რომელიც დანიშნული იყო 27 თებერვალს, გადაიდო. ყრილობის ჩატარების თარიღს დამატებით გაცნობებთ.

რეგიონული სახალხო ფრონტის თავმჯდომარეებმა წარმოადგინონ დელეგატთა სიები.

ყრილობამდე ყოველ პარასკევს, პირველ საათზე ჩატარდება სსფ-ს დარბაზის სხდომები.

საქართველოს სახალხო ფრონტის
საორგანიზაციო განყოფილება.

**TOEFL**

**მხოლოდ ჩვენთან**

**რეგისტრაცია, კურსები, საკვალიფიკაციო ტესტი**

**8 მარტს 13 საათზე**

მისამართი:
იმედაშვილის ქ. № 4 (გაგარინის მოედანთან) 123 საშ. სკოლა
ტელ. 37—05—1 1

საქართველოს სახალხო ფრონტი და გაზეთ „საქართველოს" რედაქცია სამძიმარს უცხადებენ დავით ხომასურიძეს მამის გარდაცვალების გამო.

---

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
თენგიზ გოგოტიშვილი
ვახტანგ კომახიძე
ფელიქს კოჭიაშვილი
კობა ლიკლიკაძე
მიხო მოსულიშვილი
სერგო ჯანაშია



რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 10 მან.

ავტორებს ვთხოვთ ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის მასალას ნუ შემოგვთავაზებენ.